ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, 2016 №242 (7168) ფასი: 50 თეთრი

## პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში შედის



ბურჯანაძე ხმების ხელახალ გადათვლას ითხოვს

12 ოქტომბრიდან

კახეთი

გზამკვლევი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




# ნაციონალებმა სააკაშვილი გადააგდეს







გვ.3



დავით ბაქრაძე: „ჩვენ ვერ მივცემთ ივანიშვილს იმის ფუფუნებას, რომ ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა ჩამოყალიბდეს“



## „საკონსტიტუციო უმრავლესობა, შესაძლოა, ივანიშვილის წინააღმდეგ წავიდეს“

ზაალ კასრელიშვილი: „საგარეო კურსის შეცვლა ხელისუფლების შეცვლით დამთავრდება“

გვ.4



## ვახტანგ ხმალაძე: „ამომრჩევლის თვალში მხოლოდ ორი ფერი — თეთრი და შავი დარჩა“

გვ.2



გვ.6



ISSN 1987-9385

## რამაზ საყვარელიძე: „რევოლუცია მხოლოდ სააკაშვილს აწყობს“

# შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებას“ დიდი კრიზისი ელის“



გვ.5

### „ახლა მთავარია, გაქოცდებიან თუ არა ნაციონალები“

„ქართულ ოცნებას" ხელი უნდა შეეწყო პარლამენტში სხვა პარტიების შესვლისათვის, რათა პროცესები პარლამენტში განვითარებულიყო და არა – გარეთ, თუნდაც ისეთებისთვის, რომლებმაც 4%-ზე მეტი მიიღეს. მმართველმა ძალამ ეს არ გააკეთა. ამის ჭკუა არ ეყოთ. „ქართულ ოცნებას" ერთპარტიული საკონსტიტუციო უმრავლესობა მოუნდა, რაც მას კრიზისამდე და ქუჩის მოვლენებამდე მიიყვანს

# ვახტანგ ხმალაძე: „ამომრჩევლის თვალში მხოლოდ ორი ფერი — თეთრი და შავი დარჩა“

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკელი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან" არჩევნების შედეგებზე საუბრობს.**

***— ბატონო ვახტანგ, საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც შეიძლება მმართველმა ძალამ მიიღოს, გახდება თუ არა ერთგვარი ცდუნება, მით უფრო, როდესაც სერიოზული დამბალანსებელი ძალა პარლამენტში მას არ ეყოლება?***

— რასაკვირველია, შეიძლება ეს იყოს სერიოზული ცდუნება. საერთოდ, ნათქვამია, რომ ძალაუფლება რყვნის და აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის. ეს ხომ ნათქვამია დემოკრატიულ ქვეყნებში, იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიას დიდი ტრადიციები აქვს. სწორედ ამ ქვეყნებში ხელოვნურად ქმნიან მექანიზმებს, რომელიც მინიმუმამდე ჩამოიყვანს ერთპარტიული უმრავლესობების შექმნის შესაძლებლობას. თუ თქვენ ევროპის ქვეყნებს გადახედავთ, იქ ერთპარტიული უმრავლესობა პრაქტიკულად არ არსებობს.

ჩვენთან ასეთი საფრთხე მით უფრო არსებობს. შორს არ გვინდა წასვლა, გავიხსენოთ 1990 წლის პირველი მრავალპარტიული პარლამენტი და 2004-2012 წლების პარლამენტი, სადაც სწორედ ერთპარტიული უმრავლესობა იყო და როგორ დაასრულეს ამ პარლამენტებმა, ესეც ყველას კარგად ახსოვს. მართალია, მრგვალი მაგიდა პარტიების გაერთიანება იყო, მაგრამ ეს პარტიები სრულიად ახალი შექმნილი იყო და მათ ცალ-ცალკე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა არ ჰქონდათ, თუმცა გარკვეული დამამუხრუჭებელი ფაქტორი მაინც იყო, ისევე, როგორც დღეს მოქმედ პარლამენტში დამამუხრუჭებელი ფაქტორი იყო ის, რომ უმრავლესობა კოალიციური იყო.

***— თანაც საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰქონია კოალიციას.***

— დიახ. არაერთი კანონპროექტი იყო წარმოდგენილი, რომელიც არ იქნა იმ სახით მიღებული, როგორც იყო წარმოდგენილი იმის გამო, რომ, მაგალითად, ჩვენ, რესპუბლიკელები, არ ვეთანხმებოდით და მხოლოდ მას შემდეგ იქნა ჩვენი თანხმობა დაფიქსირებული, რაც შეიცვალა



## „ჩვენ პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევის მომხრე ვართ“

კანონპროექტი და მეტ-ნაკლებად მისაღები გახდა ჩვენთვის.

***— კონკრეტული მაგალითი შეგიძლიათ გვითხრათ, რომელ კანონპროექტსაც არ ეთანხმებოდით?***

— საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტს, როდესაც ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით, 10-წლიანი გამოცდილების მქონე მოსამართლეები პირდაპირ დანიშნულიყვნენ გამოსაცდელი ვადის გარეშე. ჩვენმა წინააღმდეგობამ გამოიწვია ის, რომ ეს ნორმა შეიცვალა. ამდენად, კოალიციებში არსებობს ე.წ. შემაკავებელი ფაქტორი, როდესაც კოალიცია ორი ან სამი და მეტი პარტიისგან შედგება. ეს პარტიები ერთმანეთს აბალანსებენ. აბალანსებენ კოალიციაში გაუწონასწორებელ გადაწყვეტილებებს. ერთპარტიული უმრავლესობის შემთხვევაში ასეთი გამაწონასწორებელი ფაქტორი აღარ არსებობს და ეს ცუდია.

***— უმრავლესობის არგუმენტია, რომ ძალაუფლების უზურპაცია ვერ მოხდება, რადგან მათ ოპონენტი ეყოლებათ. ალბათ, ნაციონალური მოძრაობა შევა პარლამენტში და ასევე წარმოდგენილი იქნება პატრიოტთა ალიანსი. ეს ოპოზიციური პარტიები ვერ შეძლებენ დაბალანსებას?***

— ოპონენტს მაშინ აქვს ძალაც და ეფექტიც, როდესაც უმრავლესობა მზად არის, ოპონენტის წინადადება გაითვალისწინოს. რეალობას თუ შევხედავთ, სულ სხვა ვითარება გვაქვს. ამიტომ ვამბობ, რომ სერიოზული პოლიტიკური პრობლემები გაჩნდება ქვეყანაში, რაც გამოიწვევს არასტაბილურობას. როგორ დაასრულა კონსტიტუციური უმრავლესობის მქონე პარტიამ წინა შემთხვევაში, ეს ყველამ კარგად ვნახეთ. ასეთი საფრთხე ექნება ყველას, ვინც ბოროტად გამოიყენებს თავის ძალაუფლებას. საჭიროა ანალიზი, თუ რის გაკეთებას აპირებენ, ასევე საჭიროა საზოგადოებასთან ურთიერთობა. საზოგადოებაში უნდა მოხდეს ერთგვარი პრობაცია, თუ რას აპირებენ პარლამენტში.

***— პრეზიდენტის წესის არჩევასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია, პირდაპირი ლეგიტიმაცია სჭირდება თუ პარლამენტმა უნდა აირჩიოს?***

— რესპუბლიკური პარტიის პოზიცია იმთავითვე ცნობილია ამ საკითხზე და ჩვენ პოზიცია არ შეგვიცვლია. ეს დოკუმენტურადაც არის დადებული. 1994 წელს რესპუბლიკელებმა კანონპროექტი შეიტანეს საკონსტიტუციო კომისიაში, სადაც საუბარია იმაზე, რომ პრეზიდენტი უნდა აირჩეს არაპირდაპირი წესით. დღესაც ასე მიგვაჩნია. დასავლური ქვეყნების უდიდეს ნაწილში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ასეთი უფლებამოსილების პრეზიდენტი ირჩევა არაპირდაპირი წესით. ამის საფუძველი გამომდინარეობს საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის უფლებამოსილებიდან. პრეზიდენტი არ ფლობს აღმასრულებელ უფლებამოსილებას.

***— შესაბამისად, ხალხის პირდაპირი ლეგიტიმაციაც არ სჭირდება?***

— დიახ, ერთია, რომ არ სჭირდება და მეორე — პირდაპირი წესით არჩეულ პრეზიდენტს, როგორც წესი, ამბიცია უჩნდება, რომ უფრო მეტად ჩაერიოს სახელმწიფო საქმეებში, ვიდრე ეს კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რადგან ის ხალხის მიერ არის არჩეული. ამიტომ ეს სახიფათოა ქვეყნის განვითარებისთვის. ამან შეიძლება პოლიტიკური კრიზისები გამოიწვიოს. სულ ახლო წარსულში, გასული ოთხი წლის განმავლობაში, არაერთი სკანდალი გვახსოვს სწორედ ამ ფონზე პრეზიდენტსა და პრემიერს შორის შეუთანხმებლობის გამო, როდესაც ერთს მიაჩნდა, რომ ის იყო უფლებამოსილი და მეორეს მიაჩნდა, რომ ის იყო.

***— როგორ წარმოგიდგენიათ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ძალების შემდეგი პოლიტიკური ცხოვრება, შეიძლება ახალი უკვე არა საარჩევნო, არამედ პლატფორმით, იდეოლოგიით მონათესავე კოალიციები ვიხილოთ?***

— ჯერ კოალიციებზე საუბარი ადრეა. ალბათ, ამ საკითხებზე საუბარი შესაძლებელია, მომავალი წლის გაზაფხულიდან დაიწყოს, რადგან ერთი წლის თავზე ადგილობრივი არჩევნები გველოდება და ეს არ უნდა დავივიწყოთ. ისევ გადავალთ საარჩევნო რეჟიმში და მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, თუ რა შეიძლება მოხდეს, საერთოდ იქნება თუ არა კოალიციები და ა.შ.

***— პროდასავლური ძალები, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები აქტიური პოლიტიკური ცხოვრების მიღმა რჩებიან. ეს რა გავლენას იქონიებს ქვეყნის პერსპექტივაზე?***

— მყარი, ჩამოყალიბებული პროდასავლური ძალები ძალიან მცირე ნაწილით არის წარმოდგენილი პარლამენტში, თანაც იმ ნაწილით, რომელიც ლამის საომარ მდგომარეობაშია „ქართულ ოცნებასთან“, ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას. ამიტომ ეს პრობლემურია და ცუდია.

იმ წინასაარჩევნო სტრატეგიამ, რომელიც აირჩიეს როგორც „ქართულმა ოცნებამ“, ასევე ნაციონალურმა მოძრაობამ, მოგვცა ის სურათი, რომელიც გვაქვს. ორივე ერთმანეთისგან მტრის ხატს ხატავდა და ამან იმუშავა. ამომრჩევლის პოლარიზება მოხდა. მის თვალში მხოლოდ თეთრი და შავი დარჩა, სხვა ფერები, უბრალოდ, გაქრა. ამან გამოიწვია ამომრჩევლის ასეთი გადაწყვეტილება.

ამომრჩევლის მიმართაც შეიძლება, გარკვეული კრიტიკა გამოითქვას. მათ, ჩემი აზრით, სათანადოდ ვერ გააანალიზეს არსებული ვითარება. ეს თამაში კარგად ვერ დაინახეს. ამომრჩეველი მიღებულ გადაწყვეტილებაზე გაზაფხულისთვის უკვე დაფიქრდება.

***— რატომ, ასე მალე იქნება ეს შედეგები საგრძნობი?***

— მე ასე ვვარაუდობ.

# მარგველაშვილი: „არჩევნების ეს შედეგი განპირობებულია იმ საარჩევნო სისტემით, რომელიც არ და ვერ შეიცვალა“




საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ არჩევნებში მონაწილეობა და პარლამენტში მოღვაწეობა ამომრჩევლის წინაშე ყველა პოლიტიკური ძალის ვალდებულებაა.

აღნიშნულ თემაზე გუშინ, 11 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი მარგველაშვილის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ ისაუბრა.

— პრეზიდენტს მიაჩნია, რომ არჩევნებში მონაწილეობა და პარლამენტში მოღვაწეობა დემოკრატიულ სახელმწიფოში არის ყველა პოლიტიკური ძალისთვის ამომრჩევლის წინაშე გარკვეული ვალდებულება, თუმცა, ყველა პარტია თავად ადგენს და განსაზღვრავს საკუთარ დღის წესრიგს, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

პრეზიდენტმა არჩევნების წინა დღეს განაცხადა, რომ ქვეყანას ეყოლება მრავალპარტიული პარლამენტი და საკანონმდებლო ორგანო.

— სამწუხაროდ, პარლამენტში არ არის წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი. ეს შედეგი განპირობებულია იმ საარჩევნო სისტემით, რომელიც გვაქვს დღეს, იმ საარჩევნო სისტემით, რომლის შეცვლაზეც ძალისხმევა არ დაუკლია საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ, მიუხედავად მისი მცდელობისა, ეს საარჩევნო სისტემა არ და ვერ შეიცვალა. ასეთ მოცემულობაში პარტიების დაშლა, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ არის ძალიან დასანანი და სამწუხარო, — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

პრეზიდენტი მოსახლეობას მოუწოდებს, არჩევნების მეორე ტურშიც იყოს აქტიური.

— მოსახლეობამ 8 ოქტომბერს აირჩია პარლამენტის შემადგენლობის მხოლოდ 2/3, 50 მაჟორიტარულ ოლქში კი უნდა ჩატარდეს მეორე ტური. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რომელსაც, პირველ რიგში, სჭირდება ამომრჩევლის აქტიურობა. პრეზიდენტი ახლაც, ისევე, როგორც მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, მოუწოდებს მოსახლეობას, დააფიქსირონ საკუთარი არჩევანი და იყვნენ აქტიურნი, — განაცხადა მიშველაძემ.

# რუსი დეპუტატი: „ამ არჩევნებით საქართველომ უარი თქვა პროდასავლურ კურსზე“



რუსი დეპუტატები ფიქრობენ, რომ საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა ქვეყნის პროდასავლურ კურსზე უარის სურვილი წარმოაჩინა.

რუსეთის დუმის დსთ-ის საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ რუსი დეპუტატები ეცდებიან, აღადგინონ საპარლამენტო კავშირები საქართველოს პარლამენტთან.

მისი თქმით, ამის საფუძველს საქართველოს პარლამენტის არჩევნები იძლევა, რომელზეც „ქართულმა ოცნებამ“ აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა.

— მე ვთვლი, რომ ეს შედეგები ცალსახად გამოხატავს მოსახლეობის სურვილს, აღდგეს ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის. არჩევნებში რეალურად ორი სუბიექტი მონაწილეობდა. „ქართულმა ოცნებამ“ — 48, ხოლო ნაციონალურმა მოძრაობამ 27% მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მომხრეები გვარწმუნებდნენ, რომ ისინი ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ მოსახლეობამ ეს უარყო, — განაცხადა კალაშნიკოვმა.

მისი სიტყვებით, ეს უკვე არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე იყო ცნობილი, რადგან ქართველები, ქვეყნის ელიტის წარმომადგენლები გამოხატავდნენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების სურვილს.

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი აღიარებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ ეს არის ნიშანი იმისა, რომ საჭიროა კომპრომისების მოძებნა. ჩვენ კომიტეტში გადავწყვიტეთ, რომ მომავალ კვირაში მივიღოთ ინფორმაცია ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და დავამყაროთ ურთიერთობები ქართველ დეპუტატებთან, — აღნიშნა კალაშნიკოვმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაციონალებმა სააკაშვილი გადააგდეს

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალურ მოძრაობაში დიდი არეულობის პერიოდი დადგა. პარლამენტში შესვლა-არშესვლის გამო სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ პარტიის წევრები მიხეილ სააკაშვილს ღიად დაუპირისპირდნენ.**

მათ არ დავუტოვოთ პირადი არჩევანის უფლება.

ჩვენ მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ, პოლიტიკურ მოედანზე ერთადერთ ოპოზიციურ ძალად დავრჩით, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინ გვაქვს და, რაც უფრო სწორად ვიმოქმედებთ ახლა, მით უფრო ადრე მოვიპოვებთ საბოლოო გამარჯვებას, — დაწერა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე მიხეილ სააკაშვილმა.

* * *

პარტიის პარლამენტში შესვლას უჭერს მხარს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია. მისი თქმით, ნაცმოძრაობა პარლამენტში აუცილებლად უნდა შევიდეს. ეს განცხადება ბოკერიამ პოლიტსაბჭოს სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე გააკეთა.

ბოკერიას განცხადებით, პარტიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა „ქართული ოცნება" პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით ვერ შევიდეს.

— მე კარგად მესმის ჩვენი ამომრჩევლების, აქტივისტებისა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის პოზიცია და აღშფოთება იმაზე, რაც ჩვენ ვიხილეთ არჩევნების დღეს. მე მჯერა და მწამს, რომ სწორედ ამ უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე და, მიუხედავად ამ არათავისუფალი და არასამართლიანი არჩევნებისა, რომელიც არ გამოხატავს ქართველი ხალხის თავისუფალ ნებას, ჩვენი პოლიტიკური ძალა, როგორც ერთადერთი პროდასავლური ქმედითი ოპოზიციური ძალა, აუცილებლად უნდა შევიდეს პარლამენტში და აუცილებლად უნდა მიიღოს მეორე ტურში მონაწილეობა.

ეს არის აბსოლუტურად აუცილებელი, ჩვენი ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევებიდან გამომდინარე. ყველაფერი უნდა შევძლოთ, რომ ივანიშვილმა ვერ შეძლოს საკონსტიტუციო უმრავლესობით შესვლა პარლამენტში. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი, რათა დავიცვათ თავისუფლება ქვეყნის შიგნით. მჯერა, რომ ჩვენი პოლიტიკური ძალა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, — განაცხადა ბოკერიამ.

გიგა ბოკერიასგან განსხვავებული პოზიცია აქვს ნუგზარ წიკლაურს. ამის მიუხედავად, ის მიიჩნევს, რომ პარტიაში ახლა ყველაზე მთავარი ერთიანობის შენარჩუნებაა. ჯერ ისევ დეპუტატი წიკლაური არჩევნების გაყალბების ხარისხით აღშფოთებულია და, აქედან გამომდინარე, არ სურს პარლამენტში შესვლა.

— გაყალბების ხარისხი იყო ისეთი, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მარტო უნდა დატოვოს პარლამენტში ის პარტია, რომელმაც ეს არჩევნები გააყალბა. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, მივცემთ მათ შესაძლებლობას, რაღაც დემოკრატიულობის ფასადი ჩამოაფარონ იმას, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან და თავისუფალ არჩევნებთან.

პარტიაში აზრთა სხვადასხვაობაა იმიტომ, რომ ღიად პარტიის გარკვეულმა წარმომადგენლებმა თავიანთი პოზიცია გამოაქვეყნეს, არსებობს სხვა პოზიციაც. მე არ ვფიქრობ, რომ ამას აქვს რაიმე დაპირისპირების სახე. ყოველ შემთხვევაში, პარტიის ერთობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულება და, დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენი თანამებრძოლი გაუფრთხილდება ამ ერთობას, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნუგზარ წიკლაურმა.

დეპუტატი აკაკი ბობოხიძე მიიჩნევს, რომ ნაციონალებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა მეორე ტურში.

— მეორე ტურში გადაწყვიტონ ქართველებმა, მისცემენ თუ არა ჭორვილელ ხიხოს ბიძინა ივანიშვილს საკონსტიტუციო უმრავლესობას, გადაწყვიტონ ტურაშვილებმა, ელისაშვილებმა და ასე შემდეგ. მე ივანიშვილს ჩემის ნებით არ დავუთმობ არაფერს, — აცხადებს ბობოხიძე.

ივანიშვილისთვის რამის დათმობის სურვილი არც აკაკი მინაშვილს აქვს. ამის მიუხედავად, ის მეორე ტურებში მონაწილეობის იდეას მხარს არ უჭერს.

— ჩემი პერსონალური აზრია, რომ ჩვენ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა მეორე ტურში, რადგან ივანიშვილი გამოიყენებს იმავე მეთოდებს, თაღლითობის იმ სქემებს, რომლებიც გამოიყენა 8 ოქტომბერს, როდესაც წაართვა არჩევანი ქართველ ხალხს და ასევე არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა საპარლამენტო მუშაობაში და ამით უფრო მეტი ფოკუსირება და აქტუალიზაცია უნდა გავაკეთოთ ამ გაყალბების.

თუმცა, ეს არის ჩემი პირადი აზრი. ნაციონალურ მოძრაობაში არის დემოკრატიული წესი გადაწყვეტილებების მიღების და, რასაც მიიღებს უმრავლესობა, ის გადაწყვეტილება იქნება მიღებული. არავითარი დაშლა ნაციონალური მოძრაობის არ მოხდება. ეს არის ჭორი და ამ ჭორებს ნუ აჰყვებით, — განაცხადა მინაშვილმა.

მეორე ტურში მონაწილეობის სურვილი აქვს პარტიის ერთ-ერთ ლიდერსა და ახალ სახეს ელენე ხოშტარიას:

— კრიტიკულად მნიშვნელოვანია არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა და პარლამენტში შესვლა, რათა ყველა გზით შევებრძოლოთ იმას, რომ არაფორმალურ მმართველობას არ დაემატოს დიქტატი.

დეპუტატი სერგო რატიანი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის მეორე ტურში მონაწილეობა ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი.

— ქვეყნისთვის აუცილებელია, შევიდეთ პარლამენტში. ასევე აუცილებელია, რომ მივიღოთ მონაწილეობა მეორე ტურში. ეს არის აუცილებელი ჩვენი ქვეყნისთვის და ამომრჩევლისთვის, — ამბობს რატიანი.

მის მოსაზრებას იზიარებს გუნდის კიდევ ერთი ახალი სახე სალომე სამადაშვილი.

მისი თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ პატივი უნდა სცეს იმ ნახევარ მილიონ ამომრჩეველს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პარტიას.

— ვერ ვიტყვით, რომ არჩევნები შედგა სამართლიან გარემოში. ჩვენ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არაერთი ხმა წაგვართვა. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ უნდა გავაგრძელოთ ამ ქვეყნის ინტერესების დაცვა, უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლო პოლიტიკური გზა, მათ შორის, საპარლამენტო ტრიბუნა. ჩვენ არ უნდა ვთქვათ უარი პარლამენტში შესვლასა და მეორე ტურში მონაწილეობაზე, — განაცხადა სამადაშვილმა.

* * *

დეპუტატებისა და პარტიის ლიდერების გარდა, დისკუსიაში პარტიის მხარდამჭერებიც ჩაერთნენ. ისინიც სხვადასხვა პოზიციაზე აღმოჩნდნენ და მათ შორის სოციალური ქსელებით ნამდვილი ომი გაჩაღდა.

ტელეკომპანია „ტაბულას" ხელმძღვანელმა, გიგა ბოკერიას თანამეცხედრე თამარ ჩერგოლეიშვილმა განაცხადა, რომ მას საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის განცხადებები არ მოსწონდა.

ამის გამო მას სერიოზული შეტაკება მოუხდა „აფხაზეთის ხმის" ხელმძღვანელ ლაშა ბერულავასთან.

— მიშას რიტორიკამ „ჩამოვდივარ!" ქოცები დარაზმა და მერყევები დააშინაო. კაი, ბატონო. არის ამაში ლოგიკა. მაგრამ იმავე რიტორიკამ რამდენი მომხრე დარაზმა, ვინც ენმ-ს მიშას გამო უჭერს მხარს, ეგ დაითვალა ვინმემ? ცხვარი დაკლეს, მე წამაკლეს, ღორი დაკლეს, მე წამაკლესო, ქათამმა რომ თქვა, ისეა მიშას საქმე, — დაწერა ბერულავამ.

ამას ჩერგოლეიშვილმა ასეთი პასუხი მოაყოლა:

— და სად არის მიშა? ჩამოვიდა? რა აყვირებდა ტრუხაზე, თუ არ ჩამოდიოდა?

რატომ უნდა ვიგერიებდე მე ახლა ქოცების დაცინვებს მიშას ჩამოსვლაზე, როცა არც ეგ ჩამოსვლის მუქარები მომწონდა, მერჩივნა, მოგვეგო, წყნარად ჩამოსულიყო, რომ პოლიტიკური საქმიანობა გაეგრძელებინა და მხარდაჭერა აღედგინა (ეგეც მითია — ჩვენს მომხრეებშიც არ არის კონსენსუსი მიშას როლთან დაკავშირებით, არათუ მერყევებში — გაზომილია), მით უმეტეს, ზუსტად ვიცოდი, რომ სანამ მისი დაჭერის 1- პროცენტიანი შანსი მაინც არსებობს, არ ჩამოვიდოდა.

და ახლა მე ვიგერიებ დაცინვებს იმაზე, რომ „გადაგვაგდო". რატომ?

სააკაშვილმა იმ ადამიანებს, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის პარლამენტში შესვლას უჭერენ მხარს, ვიღაც გიჟები მიუქსია.

გინდა კაცურად ახსენი, გინდა ქუჩურად, გინდა ქალურად, გინდა კოლეგიალურად... რამენაირად ახსენი. და მარტო ქოცების თავდასხმებს კი არ ვიგერიებ, კიდევ ვიღაც გიჟები მოგვიქსია და მოღალატეებს აძახებინებს.

მიშას ჩამოსვლა რაზეა დამოკიდებული? ბილეთის აღებაზე, არა? თუ არ აპირებ გვირაბის გამოთხრას, რას გვატყუებ? მით უმეტეს, როცა გიხსნით, რომ ხელს გიშლის გამარჯვებაში?

ჰოდა, თუ ეგეთი მაგრები ხართ, რომ ქუჩაში გავარდნა, რევოლუციები გინდათ, ნახევარი მილიონი ამომრჩევლისთვის სახეში შეფურთხების ფასად გადით — არავინ გიშლით, ვინც გინდათ, დაიყენეთ წინ და გაჰყევით.

მაგრამ ახლა ეგ თემაც არაა — ალბათ, იმ ძალიან ცოტა ადამიანს შორის ვარ, ვინც მას კარგად იცნობს და უკან დაიხევს. ხომ გვლანძღეთ? — ძალიან ლამაზად დაინახავთ, რომ მიშა მხარს დაუჭერს მეორე ტურებში მონაწილეობასაც და პარლამენტში შესვლასაც.

ოთხი წელია, არ დამისვენია და უცებ ვიღებთ ოდესიდან ბრძანებას ღვინის ჭიქით (ჩამოვალ ჩამოვალ ჩამოვალ — არ ჩამოვალ შემდეგ), რომ თურმე ჩვენ მიშას გარეშე ნულები ვართ და უნდა ბარიკადებზე დავდგეთ იმიტომ, რომ ის ასე თვლის — დადგეს და დავთვალოთ, ვინ უფრო ნულია, ჩვენ მიშას გარეშე თუ მიშა ჩვენ გარეშე.

თუ ასე თავხედობთ და დატოლებაზე წავიდა საქმე, მარტივია. ჩამოვიდეს და დადგეს მიშა მეგი გოცირიძესთან, ნანა ჟორჟოლიანთან და ელისო კილაძესთან ერთად და შეუტიოს.

ჩვენ ხომ მოღალატე ნულები ვართ მის გარეშე.

* * *

ბოკერიას თანამეცხედრეს ვალში არც გოცირიძე, ჟორჟოლიანი და კილაძე დარჩნენ.

მათმა საფეისბუქო დაპირისპირებამ „ქართული ოცნების" მხარდამჭერები ისე გაახარა, სულ დაავიწყდათ არჩევნები და მათი სტატუსების გაზიარებით კარგად გაერთნენ.

გუშინ, გვიან საღამოს, ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა, რომ პარტია მიიღებს მონაწილეობას მეორე ტურებში და შევა პარლამენტშიც.

— ჩვენ ვერ მივცემთ ივანიშვილს იმის ფუფუნებას, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ერთპარტიული მმართველობა, პარტია მიიღებს მეორე ტურებში მონაწილეობას და პარტია შევა პარლამენტში, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.



## დავით ბაქრაძე:
## „ჩვენ ვერ მივცემთ ივანიშვილს იმის ფუფუნებას, რომ ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა ჩამოყალიბდეს"







**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2016, 12 ოქტომბერი, №242

# „საკონსტიტუციო უმრავლესობა, შესაძლოა, ივანიშვილის წინააღმდეგ წავიდეს“

## ზაალ კასრელიშვილი: „საგარეო კურსის შეცვლა ხელისუფლების შეცვლით დამთავრდება“

შორენა მარსაგიშვილი

რა საფრთხეები ელოდება საქართველოს, რა პრობლემებს შეუქმნის ივანიშვილს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რა შემთხვევაში გამოვა ხალხი ქუჩაში, რატომ ვერაფერს გაბედავს სააკაშვილი? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.




***– მართალია, 50 მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურია ჩასატარებელი, მაგრამ, უკვე ეჭვგარეშეა, რომ „ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება. ექსპერტები ამაში დიდ ხიფათს ხედავენ. თქვენ რას იტყვით?***

– ასანთი პატარა ბავშვის ხელში ძალიან საშიშია. მან შეიძლება ხანძარი გააჩინოს. მოზარდმა იცის ასანთის დანიშნულება და გამოყენებაც. აქედან გამომდინარე, მისთვის ასანთი და ცეცხლი საშიში არ არის.

***– მოზარდის ხელში, შესაძლოა, მართლაც არ იყოს ასანთი საშიში, მაგრამ ამხელა ძალაუფლება არ არის საშიში? საქართველო ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, რომ ძალაუფლება ადამიანს რყვნის.***

– სწორედ ამიტომ ვადარებ ძალაუფლებას ცეცხლს. ცეცხლს შეუძლია გაგათბოს, მაგრამ შეუძლია დაგწვას და გაგანადგუროს. გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს.

საქართველოში არა საკონსტიტუციო, არამედ უბრალო უმრავლესობამაც კი არ გაამართლა. საკონსტიტუციო უმრავლესობა ვისაც ეყოლება, ის ნებისმიერ გადაწყვეტილებას უპრობლემოდ მიიღებს. რაც მთავარია, მას შეუძლია, შეცვალოს საგარეო კურსი და კონსტიტუცია. რამდენიმე კანონის მიღებით შეიძლება ქვეყანა სოციალისტურ სახელმწიფოდ აქციონ. ასევე რამდენიმე კანონის საფუძველზე შეიძლება ქვეყანა გასული საუკუნის 90-იანი წლების ამორალურ მორევში გადავარდეს.

წინასწარ რამის თქმა გამიჭირდება, ცოტა უნდა ვაცალოთ და ყველაფერი გამოჩნდება. ზოგადად ქვეყანაში სერიოზული საპროტესტო განწყობაა. ვინ როგორ აიძულებს მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლას, ეს მეორე საკითხია.

***– ამბობთ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვისაც ჰყავს, მას ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლა შეუძლია. ჩვენთან ასეთი რამე მოსალოდნელია?***

– ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლის შემთხვევაში აქ ცუდი პროცესები დაიწყება და ეს ხელისუფლება დამთავრდება. გამოჩნდება უამრავი ლიდერი, რომელიც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს.

***– ახალ პარლამენტს ჯერ მუშაობა არ დაუწყია და უკვე დაიწყეს რამდენიმე საკონსტიტუციო ცვლილებაზე საუბარი. ამბობენ, რომ პრეზიდენტის არჩევის წესი უნდა შეიცვალოს. საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე „ოცნებამ“, შესაძლოა, მარგველაშვილს იმპიჩმენტი მოუწყოს. წავა ხელისუფლება იმპიჩმენტზე?***

– იმისთვის, რომ კონკრეტული სახელი და გვარი – გიორგი მარგველაშვილი – დასაჯონ თავნებობისათვის, ამით პრეზიდენტის ინსტიტუტს დააზიანებენ. ეს საქართველოში სახელისუფლებო შტოებს შორის არსებულ ბალანსსაც დააზიანებს.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ დღეს არსებული პრეზიდენტის ინსტიტუტი კარგია. გულწრფელად გეტყვით, ვერც ის გავიგეთ, რა მოდელის ქვეყანაა – არც საპრეზიდენტოა, არც საპარლამენტო. ჩვენ ასევე ვერ გავიგეთ, ამ პატარა ქვეყანაში ამდენი მინისტრი რა საჭიროა. პრეზიდენტის, როგორც აღმასრულებლის ინსტიტუტი, ისე არსებობს, მაშინ პრემიერის ინსტიტუტი რა საჭიროა, თავისი ვიცეპრემიერებით ან პირიქით.

აქ არც ამერიკული მოდელია და არც – ევროპული. რაღაცით გერმანულ მოდელს წააგავს, მაგრამ გერმანიაში არცერთ პოლიტიკოსს აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩაგდება თავში აზრად არ მოუვა.

ქვეყანაში ბევრი რამეა შესაცვლელი, მაგრამ, როგორც კი საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე ძალა პრეზიდენტის ინსტიტუტს დაარტყამს, ეს როგორც მოსახლეობაში, ასევე დასავლეთში აღიქმება, როგორც პირადი შურისძიება.

***– პრეზიდენტის არჩევის წესზე რას ფიქრობთ, ის ხალხმა უნდა აირჩიოს თუ პარლამენტმა?***

– ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს მეტი ლეგიტიმაცია აქვს. პარლამენტიც ხალხის რჩეულია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, 1992 წლიდან მოყოლებული, საკანონმდებლო ორგანოში ხალხისთვის მიუღებელი პერსონები ხვდებიან.

***– საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონა რომ სარისკოა, ამაზე თქვენც საუბრობთ. არის თუ არა რაიმე მექანიზმი საიმისოდ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა კანონით აიკრძალოს?***

– კანონით ამის აკრძალვა არ შეიძლება, იმიტომ, რომ არჩევანის უფლება ყველაზე მთავარი უფლებაა, რომელიც ადამიანებს აქვთ. ადამიანის უფლებაა, შავს აირჩევს თუ თეთრს. ადამიანმა კეთილი უნდა ინებოს და თავის არჩევანზე პასუხი აგოს.

***– საქართველოში ამაზე ჯერ არავის უგია პასუხი.***

– მე ვერ დაგეთანხმებით. 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე ყველა არჩევანზე ვაგეთ პასუხი. ახლახან არჩეულ პარლამენტზეც მოგვიწევს პასუხისგება, სადაც გადაწყვეტილებებს საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე ძალა მიიღებს. პარლამენტში მცირე დოზით შესული ოპოზიცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საპროტესტო მუხტი გარეთ გამოიტანოს.

მათ აქტიური კონტაქტი ექნებათ პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მათი დახმარებით შეეცდებიან საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რათა შემდეგ ამით საკონსტიტუციო უმრავლესობაზე ზეწოლა მოახდინოს.

***– გამოუვათ ზეწოლა?***

– ეგ საკამათო საკითხია. დარწმუნებული ვარ, პარლამენტს გარეთ დარჩენილი წამყვანი პარტიების ლიდერებს „ოცნება“ აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაასაქმებს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალური მოძრაობაც შიგნიდან გაიბზარება. ისინი, მინიმუმ, ორ ნაწილად დაიშლებიან. ერთი ნაწილი იქნება რადიკალური გადაწყვეტილებების მომხრე, მეორე ნაწილი დინებას გაჰყვება და თავის დროს დაელოდება.

***– დადგება მათი დრო?***

– არ არის გამორიცხული, გააჩნია, როგორ იმოქმედებს ხელისუფლება. დინებას გაყოლილი ნაციონალები „ოცნების“ შეცდომებზე იხეირებენ. ისინი ამ შეცდომებს აუცილებლად ჩაიდენენ.

***– რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული?***

– მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვთ, რაც ბევრ შეცდომას ჩაადენინებს.

***– ადრე საკონსტიტუციო უმრავლესობა იყო პრეზიდენტის. ახლა ვისი იქნება ეს უმრავლესობა, პრემიერის თუ ბიძინა ივანიშვილის?***

– ეს ხალხი პარლამენტში ივანიშვილის ხათრით აირჩიეს. ჩვენ იმ აზრზე ვართ, რომ ძალაუფლება ცუდი არ არის. გააჩნია, ამ ძალაუფლებას საშენოდ გამოიყენებ თუ ხალხის სასარგებლოდ. კონსტიტუციური უმრავლესობა ზოგადად არის კრიტიკული ზღვარი, რის გამოც დასავლეთიც, აღმოსავლეთიც, ჩრდილოეთიც და სამხრეთიც ძალიან დიდი სიფრთხილით მოეკიდება ჩვენი ხელისუფლების გადაწყვეტილებებს.

კონსტიტუციური უმრავლესობა არის კრიტიკული ზღვარი, საიდანაც ძალიან იოლად შეიძლება განვითარდეს რევოლუციური პროცესები, რაც არცერთი ქვეყნის ხელისუფლებაში ეჭვს არ გამოიწვევს.

***– ზემოთ ახსენეთ, ნაციონალური მოძრაობა ორ ნაწილად გაიბზარებაო. რას იზამს პარტიის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი? არსებობს მოსაზრება, რომ ის ნაცმოძრაობას საერთოდ ჩამოშორდება, ახალ პარტიას შექმნის და მასთან ერთად დაუპირისპირდება***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# თინა ხიდაშელი: „მე წავედი 2 კვირით“



რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი პოსტსაარჩევნო პერიოდს აფასებს. ხიდაშელი პარლამენტში შემავალ და საკანონმდებლო ორგანოს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური სუბიექტების შესახებ ფეისბუქის პირად გვერდზე წერს.

1. კარგია, რომ პატრიოტები პარლამენტში არიან. ადეკვატურია და რეალობაა.

2. ცუდია, რომ დასავლური პარტიული ფრონტი მოშიშვლდა, მაგრამ ესეც ადეკვატურია და რეალობაა.

3. ნაცმოძრაობა პარლამენტში უნდა შევიდეს. თუ მაინცდამაინც ბოიკოტი უნდათ, მეორე ტურებს გამოუცხადონ ბოიკოტი, მაინც შანსი არა აქვთ.

4. ის ვერ გავიგე, იმათ რა უხარიათ, წელს ხელისუფლებაში მყოფებმა 2012 წელს ციხის კადრებგამოქვეყნებულებზე ნაკლები ხმა რომ მიიღეს?

5. ვერც ის გავიგე, გაქრნენო, რომ ზეიმობენ – მე კი გამიხარდებოდა, მაგრამ აბა ობიექტური მიზეზი რომელია ამის?

2014-ზე მეტი ხმები აიღეს, ნახევარ მილიონზე მეტმა დაუჭირეთ მხარი, გაქრებითო, ემუქრებოდით და მათთან ექსკლუზიურ ურთიერთობებში უნდა გაატაროთ შემდეგი 4 წელი შინ და გარეთ და, როგორც არ უნდა დააიგნოროთ, პრინციპში, ყველაფერში დაგჯაბნიან, შემადგენლობებს გადახედეთ.

თქვენი მეკავშირე პარლამენტში ვინც იქნება, აღარ მოვყვები.

6. თავდემები, იმედია, წარმატებით გამოვლენ ამ კრიზისიდან.

7. ფბ-ზე საყოველთაო კონსენსუსია, უსუფა უნდა ყოფილიყოო. მათ უმრავლესობას ხმა არ მიუცია! ნეტავ პარლამენტში ხმის მიცემის გარეშე როგორ ხვდებიან?

8. კიდევ უფრო საინტერესო კონსენსუსი, ერთ წრეში, იმაზეა, რა ცუდია, პოლიტიკაში რომ არ იქნებიან რესპებიო. და სად მიდიან, ხომ არ იცით? თუ პოლიტიკა მხოლოდ პარლამენტია?

9. მოკლედ, ჩემო საყვარელო ხალხო, ფბ-ზეც და მის გარეთ, იმედია, გაივლის პოსტსაარჩევნო ვნებები;

ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც მოიქცა ქვეყანა 8 ოქტომბერს, ხმის მიმცემიან მისაცემიანად;

10. ქვეყნის სამსახური მხოლოდ პარლამენტის წითელი სკამიდან არ ხდება. უფრო საინტერესოა, იქ რომ არ ხარ, მაშინ როგორ იქცევი და როგორ ახერხებ შრომას.

11. ჩვენ ცოტანი ვართ და სწორედ უმცირესობაზე გადადის ხოლმე ყველა კრიტიკულ ვითარებაში პრობლემებთან გამკლავებაც, მოგვარების გზების ძიებაც და რისკიანი ნაბიჯებიც.

ასე რომ, ყველამ ერთად მოვიკრიბოთ ძალები, მეორე ტურები ჩაივლის, დამშვიდდება ემოციები და სწორედ უმცირესობისთვის საკადრისი რისკიანი ნაბიჯებით გავაგრძელოთ სვლა ქვეყნის სამსახურში!!!

მე წავედი ორი კვირით და საბრძოლო განწყობაზე დამხვდით იცოდეთ, ჩემო 22 ათასო და ფბ-ზე დღეს მგლოვიარენო!

**ინტერპრესნიუსი**

# გია ვოლსკი: „სიამოვნებით გვექნება ურთიერთობა ვიქტორ დოლიძესთან“

– სიამოვნებით გვექნება ურთიერთობა ვიქტორ დოლიძესთან, ისევე, როგორც ვახტანგ ხმალაძესთან და ნოდარ ებანოიძესთან, თუკი იქნება სამომავლოდ ურთიერთობის შესაძლებლობა.

ამის შესახებ დეპუტატმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

ვოლსკიმ შესაძლო მომავალი ურთიერთობის არგუმენტად ის დაასახელა, რომ აღნიშნულ დეპუტატებს სახელმწიფოებრივ პოზიციაზე წინ არასოდეს არაფერი დაუყენებიათ.

– საუბარი იყო, რომ გამორიცხული არ არის გარკვეულ თემებზე საუბარი და თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორის მისამართით. საუბარი მინისტრობის თაობაზე არ ყოფილა.

ჩვენ ვთქვით, რომ ძალიან პოზიტიურია, როცა ადამიანები იმყოფებიან ოპონირების რეჟიმში და საქმიანობის დროს ითვალისწინებენ სახელმწიფოს ინტერესებს უპირველეს ყოვლისა. ვიქტორ დოლიძე ამის კარგ მაგალითად იყო მოყვანილი, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ მინისტრად მისი დანიშვნის თაობაზე, – განაცხადა გია ვოლსკიმ.



კითხვაზე, რას გულისხმობს თანამშრომლობაში, ვოლსკიმ ასე უპასუხა:

– თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ სხვანაირი თანამშრომლობა, თუ არა მინისტრად დანიშვნა და მე გეუბნებით, რომ მნიშვნელოვანია, როცა ოპონირების რეჟიმში მყოფი პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მუშაობს პარლამენტში და სახელმწიფო ინტერესებიდან გამოდის.

ვოლსკის შეფასებით, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, მით უმეტეს მაშინ, როცა ევროსტრუქტურებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება ხდება.

– კიდევ ითქვა ის, რომ თუკი იქნება სამომავლოდ ურთიერთობის შესაძლებლობა, სიამოვნებით გვექნება ვიქტორ დოლიძესთან ურთიერთობა, ისევე, როგორც მე ვფიქრობ, ვახტანგ ხმალაძესთან, ნოდარ ებანოიძესთან.

არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს გადასცდნენ იმ პრინციპს, რასაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე საქმიანობა ჰქვია, – აღნიშნა ვოლსკიმ.

**ინტერპრესნიუსი**

# სანდრა რულოვსი სამეგრელოში ბრუნდება

ნაციონალური მოძრაობის ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი სანდრა რულოვსი პარტიის პოლიტსაბჭოს გუშინდელ სხდომას ესწრებოდა, თუმცა ხმის უფლება არ ჰქონდა.

სხდომის შემდეგ მან ასეთი კომენტარი გააკეთა:

– მე პოლიტსაბჭოს წევრი არ ვარ, ამიტომ ხმის უფლება არ მქონდა, მაგრამ დისკუსიებში ჩავერთე. ჩემთან ჯერ პირველი ტურია, მოგეხსენებათ, რაც მოხდა ჯიხაშკარში, მე თავს ვთვლი გამარჯვებულად, მაგრამ ჯერ მაინც უნდა გაიმართოს პირველი ტური, ამის შემდეგ დავფიქრდები მეორე ტურზე, რა თქმა უნდა, კონსულტაციებს ვიღებ ჩემი მეუღლისგან, მაგრამ, პირველ რიგში, კონსულტაციებს ვიღებ ჩემი ამომრჩევლისგან, უახლოეს მომავალში დავბრუნდები სამეგრელოში.

# შოთა მალაშხია: „ქართულ ოცნებას“ დიდი კრიზისი ელის“

## „ახლა მთავარია, გაქოცდებიან თუ არა ნაციონალები“

მარიამ მჭედლიშვილი

**8 ოქტომბრის შემდეგ შექმნილ რეალობაზე „ახალი თაობა" ესაუბრა 2012 წლის მოწვევის პარლამენტის უმცირესობის წევრს, ქრისტიან-კონსერვატორების ლიდერ შოთა მალაშხიას**

**შოთა მალაშხია:**

– 8 ოქტომბერს არჩეული პარლამენტი არ არის ის, რაც მოსახლეობას უნდოდა. ეს არანაირად არაა ხალხის არჩევანი. „ქართული ოცნების“ მიმართ ადამიანები დიდი ხანია, იმედგაცრუებული არიან, მით უმეტეს, მათი სურვილი არ იყო „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება. არჩევნებზე ბევრი არ მივიდა. არჩევანი გააკეთა დაახლოებით 50%-მა. დანარჩენი სახლში დარჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველი პარტიისადმი მხარდაჭერა 25%-ია. ეს ოფიციალური ციფრიც კი მეტყველებს, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ მხარდაჭერა ძალიან დაბალია. თუ გაყალბებასაც გავითვალისწინებთ, ეს რიცხვი უფრო დაბლა დაიწევს.

***– რით ხსნით იმას, რომ ამომრჩევლის დიდი რაოდენობა არ მივიდა არჩევნებზე? ჩამოუყალიბებელი მოქალაქეების პრობლემა არჩევნებამდე დიდი ხნით ადრეც იდგა.***

– ეს პრობლემა საარჩევნოდაც ვერ დაიძლია. პირიქით, პოლიტიკური სუბიექტების ფუჭმა დაპირებებმა, არასწორმა მენეჯმენტმა ბევრი მოქალაქე კიდევ უფრო დააბრკოლა.

***– არჩევნებზე მიუსვლელობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არარეალური დაპირებები გახდა?***

– დიახ. პარტიები განსაკუთრებით საპენსიო თემას იყენებდნენ. რატომღაც ყველამ ერთად გადაწყვიტა პენსიონერების მოტყუება.

***– იქნებ, ზოგიერთი საპენსიო დაპირება რეალური იყო?***

– როცა ამბობ, რომ პენსიას დიდი რაოდენობით ზრდი და ქმნი სამუშაო ადგილებს, ეს უკვე არასერიოზულია. რეალურია დაპირება ეკონომიკის წელიწადში 10%-ით ზრდის შესახებ. თუ ეკონომიკა ასეთი გზით წავა, მაშინ ლიტვას 10 წელიწადში დავეწევით, ხოლო დანიას – 30 წელიწადში. ეკონომიკა პირდაპირ კავშირშია პატრიოტიზმთან და ტერიტორიულ მთლიანობასთან. იმ ტერიტორიების დაბრუნება, რომლებსაც დროებით ვერ ვაკონტროლებთ, ეკონომიკური წინსვლის საშუალებას იძლევა. დევნილების დაბრუნების შემდეგ იქ ჩაიდება ინვესტიციები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ასეთ პირობებში ლიტვას 3 წელიწადში დავეწევით, დანიას კი – 10 წელიწადში. თუ ამომრჩეველს ასეთ რეალისტურ გეგმას გააცნობ, ის გაიგებს და დაიჯერებს. მხოლოდ პენსიებსა და სამუშაოს რომ ჰპირდები, ეს საიდან უნდა შეუსრულო? ფუჭი დაპირებებით არ მოტყუვდნენ არც პენსიონერები და არც სხვა ამომრჩევლები. ისინი არ მივიდნენ არჩევნებზე. მსოფლიოში შეინიშნება ისეთი ტენდენცია, რომ ამომრჩეველს უნდა სიმართლე და რეალური გეგმები. შენიღბული და დავარცხნილი პოლიტიკოსების ტყუილები აღარ ჭრის. პოპულარული ხდება პასუხისმგებლობის მქონე ნაციონალიზმი.

***– არჩევნების წინ განაცხადეთ, რომ 8 ოქტომბრის შემდეგ მთელი პოლიტიკური სპექტრი შეიცვლება.***

– დიახ. ასეთი რამ კანადაში მოხდა. ვივარაუდე, რომ 8 ოქტომბრის არჩევნები იქნებოდა ძალიან ბინძური არჩევნები, რასაც მოჰყვებოდა პოლიტიკური სპექტრის შეცვლა. ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პოლიტიკური სპექტრი მოკვდა.

***– დაბალი შედეგის მქონე პარტიებს გულისხმობთ?***

– მათაც. სპეციფიკური სიტუაციაა პარლამენტში. იქ იქნება საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე „ქართული ოცნება“, რომელსაც მხარს არ უჭერს მოსახლეობა, ასევე პატრიოტთა ალიანსი, რომელიც დიდად არ განსხვავდება მმართველი პარტიისგან. არის ნაციონალური მოძრაობაც, რომელიც არ უნდა დათანხმდეს პარლამენტში შესვლას.

***– ზოგიერთი ექსპერტის აზრით, უარი პარლამენტის ტრიბუნაზე დაასამარებს ნაცმოძრაობას.***

– ნაცმოძრაობა მაშინ დასამარდება, თუ გაქოცდება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ის შევა პარლამენტში და გაათეთრებს „ქართულ ოცნებას“. ნაციონალური მოძრაობისათვის „ქართული ოცნება“ ყოველთვის პრორუსული ძალა იყო. გარდა ამისა, ნაცმოძრაობა, ისევე, როგორც ბევრი სხვა პარტია, ამ არჩევნების გაყალბებაზე ლაპარაკობს. უკვე გაცხადდა, რომ „ოცნება“ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებას აპირებს. ნაცმოძრაობა ამის მომხრე ვერ იქნება. რაც არ უნდა წინააღმდეგ მისცე ხმა, როცა პარლამენტში ხარ, სამართლებრივად მონაწილეობ ქვეყნის ნგრევაში. ამიტომ პარლამენტში არ უნდა შეხვიდე!

2012 წელს პარლამენტში ნაციონალების ბლოკის სიით 65 კაცი გავედით. 15 დეპუტატი მანამდე გამოგვაკლდა, სანამ პირველ სხდომაზე შენობამდე მივაღწევდით. დანარჩენების უმცირესობიდან გამოსვლა მერე მოხდა. ამიტომ ვსაუბრობ გაქოცებაზე.



„ქართულ ოცნებას" ხელი უნდა შეეწყო პარლამენტში სხვა პარტიების შესვლისათვის, რათა პროცესები პარლამენტში განვითარებულიყო და არა – გარეთ, თუნდაც ისეთებისთვის, რომლებმაც 4%-ზე მეტი მიიღეს. მმართველმა ძალამ ეს არ გააკეთა. ამის ჭკუა არ ეყოთ. „ქართულ ოცნებას" ერთპარტიული საკონსტიტუციო უმრავლესობა მოუნდა, რაც მას კრიზისამდე და ქუჩის მოვლენებამდე მიიყვანს

***– ირაკლი ალასანიას პარტიამ ან სხვებმა რატომ ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი?***

– პოპულისტური სლოგანების გამო. არადა, ერთ კლიპში ალასანია ამბობს, პოპულისტები არა ვართო. მისი პარტიის დაპირებებიც შეუსრულებელია. ბურჭულაძემ თავისი 12% დაიყვანა 3%-მდე. იგი პოლიტიკაში გამოუცდელი იყო. მისი წარმატების თავიდანვე არ მჯეროდა. ჩემი ეს პროგნოზიც გამართლდა.

***– პაატა ბურჭულაძე პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.***

– ეს მისი გადასაწყვეტია. თუ ამ პერიოდში ბევრი რამ ისწავლა, მაშინ შეიძლება პოლიტიკაში მომავალი ჰქონდეს. მასაც ჰქონდა პოპულისტური დაპირებები. ნაცმოძრაობას ამომრჩეველმა სხვა რამის გამო დაუჭირა მხარი. ეს მოხდა პატრიოტული მუხტის და არა – პენსიების გამო.

***– იქნებ ზოგმა პენსიის გამოც მისცა ხმა?***

– მაგალითად, ზუგდიდში სანდრა რულოვსს ხალხი პატრიოტული მოტივებით უჭერდა მხარს. კრიმინალ შენგელიას მისი მომხრეები სწორედ პატრიოტიზმიდან გამომდინარე დაუპირისპირდნენ და არა – პენსიების მატების დაპირების გამო. სანდრა რულოვსმა ეს არჩევნები მოიგო. მას გამარჯვება წაართვეს.

***– თუ ნაცმოძრაობა არ იაქტიურებს, ფაქტობრივად, პოლიტიკურ სპექტრში მხოლოდ „ოცნება“ დარჩება?***

– ეს ძალა პარტიად ვერც ჩაითვლება, თანაც, „ქართულ ოცნებას“ დიდი კრიზისი ელის. მას მხარს არ უჭერს მოსახლეობა. „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა მოემსახურება ერთ კაცს, რომელიც ხელისუფლების გამოყენებით ფულს შოულობს. მომავალ ოქტომბერში ადგილობრივი არჩევნებია. შეიძლება ხალხი მხოლოდ არჩევანით არ შემოიფარგლოს. მოსალოდნელია მოვლენების გადასვლა ქუჩაში.

***– ხალხში რევოლუციური მუხტი არ არის.***

– ამ მუხტს თვითონ მმართველი პარტია ქმნის. „ქართულ ოცნებას“ ხელი უნდა შეეწყო პარლამენტში სხვა პარტიების შესვლისათვის, რათა პროცესები პარლამენტში განვითარებულიყო და არა – გარეთ, თუნდაც ისეთებისთვის, რომლებმაც 4%-ზე მეტი მიიღეს. მმართველმა ძალამ ეს არ გააკეთა. ამის ჭკუა არ ეყოთ. „ქართულ ოცნებას“ ერთპარტიული საკონსტიტუციო უმრავლესობა მოუნდა, რაც მას კრიზისამდე და ქუჩის მოვლენებამდე მიიყვანს.



# „საკონსტიტუციო უმრავლესობა, შესაძლოა, ივანიშვილის წინააღმდეგ წავიდეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***ხელისუფლებას.***

– მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში შემთხვევითი კაცი იყო. 2003 წლის ვარდების რევოლუცია რომ არა, როცა ედუარდ შევარდნაძემ სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას სამეულს დაუთმო ძალაუფლება, ოდესის გუბერნატორი ვერასდროს მოვიდოდა ხელისუფლების სათავეში.

მეტსაც გეტყვით, რომ არ მოეკლათ გია ჭანტურია, ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი ხელისუფლების სათავეებთან ახლოსაც კი ვერ მივიდოდნენ.

***– ამით რის თქმა გინდათ?***

– ვიმეორებ, გია ჭანტურია რომ არ მოეკლათ, ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძის გუნდი არათუ ქვეყნის მმართველები, წამყვანი ძალის წარმომადგენლებიც კი ვერ გახდებოდნენ.

ჩვენ ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, რომ მიხეილ სააკაშვილი არ არის გმირი. ის არ არის მეომარი და არც ინტელექტუალური ადამიანი. ოდესის გუბერნატორი არც მენტალური ქართველია, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსივით სადღეგრძელოებითა და ისტორიაზე საუბრით მოხიბლოს საქართველოს მოსახლეობა. სააკაშვილი არ გახლავთ შეწირული. ის არის ინტერესებზე მოთამაშე ადამიანი. თუ მას გარედან დახმარება არ აქვს და ხელში 100%-იანი გარანტიები არ უჭირავს, ის არაფერს გააკეთებს.

ის იყო პრეზიდენტი, ჰქონდა იმპერატორის უფლებები, მაგრამ გზის დაგებისა და კედლის აშენების მეტი არაფერი გაუკეთებია. სამაგიეროდ, პირდაპირ კონფლიქტში შევიდა ადამიანებთან და ერს დაუპირისპირდა. ასე რომ, ეგ არაფრის გამკეთებელი არ არის.

ვინც მის დაბრუნებას ელოდება, მინდა ვუთხრა, რომ ის არის მილიარდერი ახალგაზრდა, რომელიც ცხოვრებით დატკბება. მან თავის დროზე ისე „იგულავა“, არაბ შეიხებსაც რომ არ „უგულავიათ“. ახლა უფრო კარგად ატარებს დროს და საქართველოში ჩამოსვლით თავს არ აიტკივებს.

***– პატრონებისგან თუ მიიღებს დავალებას?***

– პატრონები თუ თავად ასწევენ პოლიტიკურ ტემპერატურას და ასაფეთქებლად ასანთის ღერი დასჭირდებათ, მაშინ შეიძლება დაუძახონ მას.

***– ეს რა შემთხვევაში მოხდება?***

– მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველოს ხელისუფლება კონსტიტუციური უმრავლესობის გამოყენებით ქვეყნის საგარეო კურსს შეიცვლის. ვაფრთხილებ ხელისუფლებას, თუ საგარეო კურსის შეცვლას გაბედავენ, სააკაშვილის ჩამოსვლამდე იმდენი ლიდერი გამოჩნდება, რომ ხელისუფლებას ამ ამბავს გადააყოლებენ. ამ შემთხვევაშიც კი არ იქნება ის საჭირო.

მგონი, დადგა დრო, ეს ადამიანი საერთოდ დავივიწყოთ. მაგალითისთვის ორ ლეგენდარულ სპორტსმენს მოვიყვან – პელესა და ტაისონს. ორივე ეპოქალური ფიგურაა და ორივე ცოცხალია, მაგრამ მათი, როგორც მოქმედი სპორტსმენების დაბრუნება, მინიმუმ, სასაცილო იქნება. ამიტომ დაივიწყეთ ეს არაფრის მაქნისი სააკაშვილი. მას არაფერი გაუკეთებია და არც მომავალში გააკეთებს რამეს.

***– როგორ არ გაუკეთებია, ვარდების რევოლუცია არ მოაწყო?***

– არაფერიც არ მოუწყვია და არც თავის დროზე შეუქმნია მას ნაციონალური მოძრაობა. ეს ყველაფერი გარეთ იყო დაგეგმილი. ის რევოლუციაც იმიტომ მოხდა, რომ სააკაშვილსა და მის გარემოცვას ალტერნატივა არ ჰყავდა. ეს ამბავი შევარდნაძესაც აწყობდა და დასავლეთმა თვალები დახუჭა.

***– მოდით, სააკაშვილს შევეშვათ და ოპოზიციური პარტიის ლიდერების დასაქმებაზე ვისაუბროთ. ვისი ხილვა შეგვიძლია აღმასრულებელ ხელისუფლებაში?***

– ალასანიას გუნდის წევრებისა და რესპუბლიკელების ხილვა სავსებით შესაძლებელია. არ არის გამორიცხული, თვითმმართველობის არჩევნებისთვის დაჰპირდნენ რამეს. ასევე, შესაძლოა, რამდენიმე ფორუმელიც დაასაქმონ.

ერთი მხრივ, ეს ძალიან კარგია, რადგან საქართველოში კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ამ პარტიებში კი სერიოზული კვალიფიკაციის მქონე ხალხია. მეორე მხრივ, ეს დამაწყნარებელ ღალატს ჰგავს.

***– თავის დროზე ბიძინა ივანიშვილისა და „ოცნების“ მიმართ იმიტომ გაჩნდა პრეტენზიები, რომ მათ კოალიციაში რესპუბლიკელები და ალასანიას ხალხი შეიყვანეს. ახლა მათ დასაქმებაზე არ იქნება უარყოფითი რეაქცია?***

– როგორ არ იქნება. ხალხისთვის ეს ძნელი ასახსნელი იქნება. „ოცნების“ მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზრდება. საკონსტიტუციო უმრავლესობასთან ერთად ქვეყანას ბეწვის ხიდზე მოუწევს გავლა. საკონსტიტუციო უმრავლესობას ბევრი რისკი ახლავს თან და ამას ბიძინა ივანიშვილიც აცნობიერებს.

***– ივანიშვილსაც შეიძლება, შეექმნას პრობლემა?***

– შესაძლოა, საკონსტიტუციო უმრავლესობამ იმოქმედოს პრინციპით ყველა ერთის წინააღმდეგ.

***– ფიქრობთ, რომ ისინი ივანიშვილის წინააღმდეგ წავლენ?***

– ისინი ივანიშვილს მიაწვდიან არასწორ ინფორმაციებს, მოაქცევენ იზოლაციაში და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნებენ.

***– გუნდის შიგნით დაპირისპირებას არ ელოდებით?***

– ამ უმრავლესობაში უკვე ახლავე არსებობს რამდენიმე დაჯგუფება, მაგრამ მათ შორის დიდ დაპირისპირებას არ ველოდები. ამის რისკი მინიმალურია. სამაგიეროდ, ქვეყანა დგას დიდი რისკის წინაშე.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

ნონა ცაბაძე

# რამაზ საყვარელიძე: „რევოლუცია მხოლოდ სააკაშვილს აწყობს“

**რამდენად ლეგიტიმურად ჩატარდა არჩევნები? რატომ გარბიან პოლიტიკური პარტიის ლიდერები პოლიტიკიდან? რატომ გაიყო აზრი ნაციონალებში? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

***– ბატონო რამაზ, ცესკომ ხმების 100% დაითვალა. სხვადასხვაგვარი შეფასებები ისმის არჩევნების შეფასებისას. ზოგი სამართლიანად მიიჩნევს ჩატარებულ არჩევნებს, დიდი ნაწილი – უსამართლოდ. რას ფიქრობთ თქვენ?***

– სასამართლო პროცესი, ალბათ, არც ისე ბევრი გინახავთ არც მე და არც თქვენ, სადაც დამნაშავე იტყვის: ჩემი ბრალია, რომ დამიჭირეს და არა სხვისიო. ანალოგიური მექანიზმი მუშაობს აქაც, ვიღაცამ წააგო, ვიღაცამ მოიგო. წაგებულებს სამართლიანობის გრძნობა უფრო მძაფრი უნდა ჰქონდეთ, რომ თქვან, მე წავაგეო.

***– ზოგიერთებმა ხომ აღიარეს?***

– ასეთი აღმოჩნდა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებმაც ევროპული სტანდარტით მისცეს რეაქცია არჩევნების შედეგებს.

***– მოსახლეობის განწყობაზე რას იტყვით?***

– მოსახლეობაში არ არის ის განცდა, რომ არჩევნები გაყალბდა. მოსახლეობაში იმაზე უფრო დიდი რეაქცია იყო, თუ რატომ აქვს ასეთი მაღალი მაჩვენებელი ნაციონალურ მოძრაობას და არა სახელისუფლებო პარტიას. არც უჩვენებია სახელისუფლებო პარტიას მაღალი შედეგი, 50%-მდეც ვერ მივიდა. მაღალი შედეგი იქნებოდა 80-90%. ეს შედეგი რომ ეჩვენებინა, მაშინ გაჩნდებოდა ეს პროტესტი. შედეგებმა ის სურათი ასახა, რომელიც ქართველ ამომრჩეველს აქვს.

***– ოპოზიციურ ფლანგზეც არასტაბილური ვითარებაა. პოლიტიკოსთა ნაწილი ტოვებს პოლიტიკას. როგორ აფასებთ თუნდაც იმ პროცესს, რომელიც თავისუფალ დემოკრატებში და პაატა ბურჭულაძის გუნდში ხდება?***

– გადაწყვეტა მრავალნაირი შეიძლება იყოს. პაატა ბურჭულაძის გუნდში ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურამ, ფიქრი მინდა და გავერიდები ცოტა ხნით პოლიტიკასო. ჩვენ ადრეც გვახსოვს ანალოგიური შემთხვევები, იგივე მემარჯვენეების გამოკვეთილი ლიდერი, დავით გამყრელიძე, რომელმაც საერთოდ მიატოვა პოლიტიკა და წავიდა. ადამიანები თავიანთ ბედს ხან წყვეტენ და ხან ფიქრობენ და ამ გადაწყვეტილების მიღებამდე არ უნდათ პოლიტიკური აქტივობა, რადგან პოლიტიკაში დარჩენა ნიშნავს მუდმივ საჯარო ფიგურად ყოფნასა და საზოგადოებისთვის იმის მუდმივად გაზიარებას, თუ რას აპირებს და რას გეგმავს.

***– ნაციონალური მოძრაობის ნაწილი თვლის, რომ არ უნდა შევიდნენ პარლამენტში, 27 მანდატი ძალიან ცოტაა და ეს ინიციატივა სააკაშვილისგან მოდის, ხოლო მეორე ნაწილი არშესვლის მიზეზს ვერ ხედავს. რა ხდება ნაციონალებში?***

– პარტიას ეწყება თან მძიმე, მტკივნეული და თან ჯანსაღი პროცესი. გზა გამოჯანმრთელებისკენ ყოველთვის იოლი და სასიამოვნო არაა. პარტიაში თუ დაფიქრდებიან, რომ სწორედ მათშია მათთვის შედარებითი მარცხის მიზეზი, ალბათ, მივლენ იმ დასკვნამდე, რომ მათი რიტორიკა, მათი აგრესიულობა შეცდომაა.



***– თუკი მეორე გზას აირჩევენ და შევლენ პარლამენტში?***

– საპარლამენტო გზას თუ აითვისებენ და უფრო რაციონალურები გახდებიან გინდ კრიტიკაში და გინდ ზოგიერთ პოლიტიკურ ინიციატივაში, მაშინ შეინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას პოლიტიკაში. აი, ეს ალტერნატივაა, გააგრძელონ ძველებური თუ გამოიმუშაონ ახალი. ეს კონცეპტუალური, სტილისტური განახლების პროცესია მტკივნეული, რადგან საკუთარი თავის ღალატი ყველა ადამიანს უჭირს და პოლიტიკურ პარტიებსაც მათ შორის.

***– ანუ ნაციონალებმა საკუთარ კურსსა და ხედვებს უნდა უღალატონ?***

– ასეა. მხოლოდ ნაციონალებმა კი არა, ეს ღალატი ამ ეტაპზე ბევრი პარტიისთვის არის აუცილებელი! იმ პარტიებმაც უნდა უღალატონ საკუთარ თავს, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი. „ქართულმა ოცნებამაც“, რომელიც გამარჯვებულის როლშია, სასურველია, გადახედოს თავის თავს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს არც ისე მყარი გამარჯვებაა. თუკი ნაციონალურმა მოძრაობამ ის საფრთხობელას იმიჯი მოიხსნა და ნორმალურ პოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბდა, მაშინ ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“ იმავე ხერხის გამოყენება.

***– ანუ დღეს საფრთხობელა ნაციონალურმა მოძრაობამ უშველა „ქართულ ოცნებას“?***

– უშველა რა, „ქართულმა ოცნებამაც“ ეს გაითვალა, რომ ნაციონალური მოძრაობა შეხტებოდა საფრთხობელას რელსებზე და ამაზე ააგო თავისი კამპანია. ეს საკმაოდ ჭკვიანური პოლიტიკური კურსი იყო „ოცნების“ მხრიდან. მეორე საქმეა, ის, ვისაც საფრთხობელად აკეთებენ, რას იზამს.

***– ამ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ იყო?***

– ამ შემთხვევაში ნაციონალებმა გაუმყარეს ეს ხერხი „ქართულ ოცნებას“ და „ოცნება“ რასაც ამბობდა და არ ამბობდა, ესენი იმაზე უფრო მეტად სახიფათონი გამოჩნდნენ. რევოლუციური სცენარი რომ რეალური იყო, ახლა მაინც ხომ გამოჩნდა, როცა პარტია გაიყო ორად?! ნაციონალები პარლამენტში თუ არ შევიდნენ, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ისინი რევოლუციისა და ქუჩის აქციების გზას დაადგებიან.

***– ანუ სააკაშვილი და მისი ფრთაა ამ რადიკალური გზის მომხრე?***

– რა თქმა უნდა! თუ რადიკალური გადატრიალება მოხდა, ხომ კარგი, თუ ვერ მოახერხეს, ივანიშვილს დააბრალებს, დიქტატორიაო და აუტეხს მთელ დასავლეთში ხმაურს.

თუ მოვლენები მშვიდობიანი გზით განვითარდა ანუ შევიდნენ პარლამენტში, მაშინ სააკაშვილს ოთხი წლით გადაევადება საკითხის გარკვევა. თუ ოთხი წლის მერეც ვერ გაიმარჯვეს ნაციონალებმა, საერთოდ იქნება ძებნილი მთელი მომავალი დროის განმავლობაში.

აქ სააკაშვილის ინტერესი მუშაობს, მეტი სხვა არავისი ამ რევოლუციურ სცენარში არ არის. ნაციონალებიდან პარლამენტში მოხვედრა ბევრს უნდა. სააკაშვილის მისამართით უკვე მძაფრი განცხადებები ისმის. როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი, ეს ჯგუფი უკვე გამოყოფილია. მე მაინც მგონია, რომ რაციონალური ლოგიკით ისინი პარლამენტში უნდა შევიდნენ. თუ ემოციურ ლოგიკას აირჩევენ, მაშინ დაიჭირონ ქვები და ყველა მიმართულებით ისროლონ.




# პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში შედის

## ბურჯანაძე ხმების ხელახალ გადათვლას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

პატრიოტთა ალიანსი პარლამენტში შესვლას დათანხმდა. ამის შესახებ განცხადება პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა გუშინ, 11 ოქტომბერს, გააკეთა.

ალიანსი ჯერ კიდევ არჩევნებამდე იმუქრებოდა საპროტესტო აქციებით. ალიანსელები ხალხის გამოყვანას იმ შემთხვევაში აპირებდნენ, თუ მათთვის სასურველი შედეგი არ დაიდებოდა.

როგორც თარხან-მოურავმა განმარტა, მათ ამომრჩევლის გარკვეულ რაოდენობასთან ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული, რომ ისინი მათ ხმებს მისცემდნენ.

მართალია, ალიანსმა საარჩევნო ბარიერი გადალახა, მაგრამ არჩევნების შედეგებით კმაყოფილი არ არის. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა 9 ოქტომბერს განაცხადა, რომ ისინი ქუჩაში გავიდოდნენ და ხელისუფლებას ნაციონალებისთვის თავზე ხელის გადასმას არ აპატიებდნენ.

პარლამენტში შესვლაზე გადაწყვეტილება არჩევნების მესამე დღეს, 11 ოქტომბერს მიიღეს. ისინი პარლამენტში შედიან, მაგრამ სული და დეპუტატის მანდატები კითხვებით აქვთ დამძიმებული. კითხვები აქვს თარხან-მოურავსაც.

ის გულწრფელად არის შეწუხებული საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებების გამო. მისი თქმით, დამკვირვებლებს არ ჰქონდათ იმის თქმის საბაბი, რომ არჩევნები სამართლიან გარემოში ჩატარდა. ის პოლიტიკური პარტიების შეფასებებმაც გააკვირვა.

– საერთაშორისო ორგანიზაციები მეტნაკლებად პოზიტიურად აფასებენ არჩევნებს, რაც გასაკვირია. უფრო გასაკვირია, რომ პარტიების უმრავლესობამაც მეტ-ნაკლებად პოზიტიურად შეაფასა, მათ შორის იმანაც, ვინც ბარიერი ვერ გადალახა.

ჩვენ ვცდილობთ, ყველა სიტყვა იყოს მოზომილი. არჩევნების შედეგებით არ ვართ კმაყოფილი. არის უამრავი კითხვის ნიშანი. ჩემთვის გაუგებარია, რანაირად შეიძლება, აჭარაში ავიღოთ 8.000 ხმა, როცა ბათუმში მიტინგზე იყო 28.000.

ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება, 280.000 ადამიანი ხელშეკრულებას გიდებდეს, რომ ხმას მოგცემს და ცესკო გეუბნება, 100.000 ხმა აიღეო. ისე არ უნდა გამოჩნდეს, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ უკმაყოფილო. პარლამენტში



შევალთ, მაგრამ კითხვის ნიშანი უამრავია, – განაცხადა თარხან-მოურავმა.

5%-იანი ბარიერის გადალახვის წყალობით ალიანსს პარლამენტში 6 მანდატი ექნება. შესაბამისად, ისინი შეძლებენ ფრაქციის შექმნას. ალიანსის ექვსეული ასე გამოიყურება: ირმა ინაშვილი, ადა მარშანია, ნატო ჩხეიძე, გიორგი ლომია, გელა მიქაძე და ემზარ კვიციანი.

* * *

თარხან-მოურავის მსგავსად, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოა დემოკრატიული მოძრაობა.

პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ისეთი განცხადება გააკეთა, რომ თარხან-მოურავს არ გაუკვირდება. ბურჯანაძე ხელისუფლებისგან იმის დამტკიცებას ითხოვს, რომ არჩევნები არ გაყალბდა და მათი პარტიის ხმები არ არის გადალაგებული ბათილ ბიულეტენებში.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ფიქრობს, რომ ოპოზიციური პარტიების ხმები „ოცნებამ“ და ნაციონალებმა გადაინაწილეს.

– „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა გარიგდნენ, ორივემ გადაინაწილა ოპოზიციური პარტიების ხმები და, შესაბამისად, დაიწერეს არარეალურად მაღალი პროცენტები. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც თავისთვისაც კი მოულოდნელი შედეგები აიღო, საუბრობს გაყალბებაზე, თუმცა სიტყვას არ ძრავს არც ხმების გადათვლაზე და არც, შესაბამისად, შედეგების გაუქმებაზე, – აცხადებს ბურჯანაძე.

მისი პარტია აცხადებს, რომ ცესკოში შესატანად მომზადებული აქვს საჩივრები, რომლებითაც ითხოვენ საარჩევნო უბნების გახსნასა და ხმების გადათვლას.

# სკანდალი ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში



ევროპის საპარლამენტო ასამბლეის (პასე) თავმჯდომარე პედრო აგრამუნტმა განაცხადა, რომ რუსეთთან დიალოგის განახლება აუცილებელია.

სენიორ პედროს აზრით, რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციებმა უკუეფექტი იქონია. მდგომარეობა როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში დაიძაბა. კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის რეალური საფრთხის წინაშე დადგა.

– აუცილებელია რუსებთან დიალოგი! შესაბამისად, პასეს სხდომებს რუსული დელეგაციაც უნდა ესწრებოდეს, – თქვა აგრამუნტმა.

ამ სიტყვებმა უკრაინელების აღშფოთება გამოიწვია. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამია, რომ სანამ რუსეთი უკრაინიდან ჯარებს არ გაიყვანს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, რუსული დელეგაციის პასეს სხდომებზე დაბრუნება გამორიცხულია.

– პასეს უახლოეს სხდომებზე სწორედ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ აგრესია განიხილება. რუსეთის პასეს სხდომებზე დაშვება ნონსენსია, – განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა.

ცხარე დისკუსიის შემდეგ რუსების ევროპის საპარლამენტო ასამბლეაზე დაბრუნების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა, თუმცა აგრამუნტი უკმაყოფილებას არ მალავდა.

რუსეთის პასეში დაბრუნების საკითხი მომავალი წლის იანვრიდან დღის წესრიგში კვლავ დადგება.

# პუტინის ოლანდთან შეხვედრა გადაიდო



კრემლმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის საფრანგეთში დაგეგმილი ვიზიტის გადადება დაადასტურა.

როგორც კრემლის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, ვიზიტი, სავარაუდოდ, საფრანგეთის პრეზიდენტისთვის ხელსაყრელ დროს შედგება.

პესკოვს პუტინის გადაწყვეტილების მიზეზი არ დაუსახელებია, თუმცა, როგორც დასავლური მედია აღნიშნავს, ვიზიტი საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის კრიტიკის შემდეგ გადაიდო.

რუსეთის პრეზიდენტი საფრანგეთში ვიზიტს 19 ოქტომბერს გეგმავდა, თუმცა 10 ოქტომბერს ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ შეხვედრა, შესაძლოა, არ შედგეს და, ამავდროულად, რუსეთი სირიაში ქმედებების გამო გააკრიტიკა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ასევე არ გამორიცხა, რომ რუსეთის ქმედებები სირიის ქალაქ ალეპოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოიძიოს.

ფრანგული მხარე ოფიციალურად მიმართავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თხოვნით, დაიწყოს სირიის ქალაქ ალეპოში სირიელი და რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება.

არც რუსეთი და არც სირია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრები არ არიან.

# ტრამპი პოზიციებს თმობს



ჰილარი კლინტონსა და დონალდ ტრამპს შორის დებატების მეორე ტურის შემდეგ ჰილარი კლინტონის რეიტინგი კვლავ გაიზარდა.

მას მხარს 57% უჭერს, დონალდ ტრამპს – 47%.

ამრიგად, თუკი დებატებამდე განსხვავება შეადგენდა 6%-ს კლინტონის სასარგებლოდ, ახლა ამ მაჩვენებელმა 10%-მდე აიწია.

ამას გარდა, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ტრამპით უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მათ რიცხვს კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის თავმჯდომარე რაიანიც შეუერთდა.

– ტრამპმა კანდიდატურა დაუყოვნებლივ უნდა მოხსნას, – განაცხადა რაიანმა.

# უკრაინელთა უმრავლესობას დონბასში კაპიტულაცია არ სურს



112-ე არხის მიერ ჩატარებულ გამოკითხვით, უკრაინელთა 66% დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგია. აქედან 20% მიიჩნევს, რომ პრობლემა მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს, 40% კი აცხადებს, რომ ეს ამაო გარჯაა.

– რუსებს მხოლოდ ძალის ენა ესმით, ამიტომ ქეჩოში გვარიანად უნდა მივცხოთ. სხვაგვარად არაფერი გამოვა, – თვლიან ისინი.

4% თვლის, რომ ნორმანდიული ფორმატი უნდა გაფართოვდეს და მასში აშშ ჩაერთოს. 2%-ის აზრით, ამ ეტაპზე კონფლიქტის დაკონსერვებაა აუცილებელი, ხოლო როგორც კი რუსეთი დასუსტდება, მას ძლიერი ეფექტური დარტყმა უნდა აგემონ.

დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე მხოლოდ 22%-ია თანახმა. დანარჩენებს ამ საკითხზე პოზიცია არ გააჩნიათ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ელიტური ბუნკერები აშშ-ში




ჟურნალმა ფორბსმა სტატია მიუძღვნა ახალ ელიტურ ბუნკერებს, რომლებიც სამხრეთ დაკოტაში მდებარეობს. მიწისქვეშა კომპლექსი 5 ათას ადამიანზეა გათვლილი. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი მსგავსი ტიპის ნაგებობაა.

ამჟამინდელი კომპლექსი ყოფილი სამხედრო კომპლექსის ბაზაზეა შექმნილი, სადაც 1950-იან წლებში იარაღი და საბრძოლო მასალები ინახებოდა. ის ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ზონაშია განთავსებული.

მის ბინადართ ჰპირდებიან ოცდაოთხსაათიან დაცვას, დაცვის ულტრათანამედროვე მოწყობილობებს, სათვალთვალო სისტემებსა და სხვა პირობებს. ტერიტორიაზე დაგეგმილია მაღაზიების, რესტორნისა და ბარის განთავსება, ასევე იქნება თვითშემოქმედებითი თეატრი, სპასალონი, სპორტული დარბაზი, საავადმყოფო, საჯინიბო და ტირი.

ყოველ ბუნკერში 10-დან 20-მდე ადამიანი განთავსდება, ამასთან, მარაგი ერთი წლით ან მეტით განისაზღვრება. ბუნკერის გასაყიდი ფასი 25 ათასი დოლარია.

# ელისაბედ II-ის საყვარელი ძაღლი მოკვდა

დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის ერთ-ერთი ძაღლი 13 წლის ასაკში აღესრულა. ამ ინფორმაციას ბრიტანული პრესა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ძაღლმა სახელად ჰოლიმ გადაიტანა დაავადება, რამაც მისი ჯანმრთელობა შეასუსტა და საბოლოოდ სიკვდილი გამოიწვია. ამჟამად დედოფალს ველშ-კორგის ჯიშის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი დარჩა, თუმცა თავიდან რვა ჰყავდა.



ჰოლი ხშირად ახლდა თან ელისაბედ II-ს სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებაზე, მაგალითად, 2012 წელს ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე. ძაღლს ხშირად გამოხატავდნენ მონარქის პორტრეტებზე. ის უამრავ ფოტოსურათზეცაა დაფიქსირებული, მათ შორის მხატვრული ენი ლეიბოვიცის მხატვრული ფოტოს ნამუშევრებზეც.

ამჟამად ბუკინჰემის სასახლეში ერთი კორგი, სახელად უილოუ და კიდევ ორი ძაღლი დარჩა, ტაქსასა და კორგის ნაჯვარი. აღსანიშნავია, რომ წმინდა სისხლის კორგები ელისაბედ II-ის ოჯახში მისი ბავშვობის დროიდან ცხოვრობდნენ, ხოლო ამ ჯიშის ძაღლების სასახლეში ყოლის ტრადიცია სათავეს მეფე გეორგ IV-ის დროიდან იღებს (გარდაიცვალა 1830 წელს).

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# რომელ ორგანოებს აზიანებს მაღალი წნევა




ჰიპერტონიული დაავადების დროს სხვადასხვა ორგანოში ცვლილებები უმთავრესად დამოკიდებულია სისხლძარღვოვანი სისტემის დაზიანების ხარისხსა და გავრცელებაზე.

ჰიპერტონიული დაავადების გართულების დროს თავს იჩენს ორგანოთა ნიშნები: სისხლის მიმოქცევის ნაკლოვანება, სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, თავის ტვინში სისხლჩაქცევა, ჰიპერტონიული ენცეფალოპათია, ცერებრული არტერიების თრომბოზი, ბადურაში სისხლჩაქცევა, თირკმელების ნაკლოვანება და სხვა.

წნევის მატებას თან ახლავს გულის ფრიალი, უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, ჰაერის უკმარისობა და გულის ნაკლოვანებითა და გვირგვინოვანი სისხლის მიმოქცევის მოშლით გამოწვეული.

ჰიპერტონიული დაავადების დროს ხშირია გულის იშემიური დაავადების შემთხვევები.

მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების დროს სისხლის წნევა უფრო მკვეთრად ქვეითდება, ვიდრე ნორმალური წნევის პირობებში. ფიქრობენ, რომ კარდიოგენული შოკის მძიმე მიმდინარეობა ჰიპერტონიის დროს ამით აიხსნება.

თირკმლების მდგომარეობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჰიპერტონიული დაავადების განვითარებისა და მიმდინარეობისათვის. ზოგ შემთხვევაში ჰიპერტონიული დაავადების დროს თირკმლების გამომყოფი ფუნქცია და შარდის შემადგენლობა წლების განმავლობაში ნორმალურია. არც თირკმლების მორფოლოგიური სურათი (ბიოფსიის მასალა) განიცდის ცვლილებას.

ჰიპერტონიული დაავადების მიმდინარეობის პროცესშითანდათან ვითარდება თირკმლების არტერიების დაზიანება – არტერიოსკლეროზი და ნეფროსკლეროზი. თირკმლის ზომა მცირდება, ვითარდება ე.წ. პირველადად შეჭმუხვნილი თირკმელი.

თვალის ფსკერის მდგომარეობისა და თვალშიგა ჰემოდინამიკის ცვლილებების ხარისხი ერთ-ერთ სარწმუნო კრიტერიუმადაა მიჩნეული ჰიპერტონიული დაავადების მიმდინარეობის სტადიისა და ფაზის განსაზღვრაში. ამ დროს დამახასიათებელია ცვლილება ბადურების სისხლძარღვებსა და სისხლძარღვოვან გარსში – ჰიპერტონიული რეტინოპათია.

დაავადების ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაში არც ისე იშვიათად აღინიშნება ბადურას არტერიების შევიწროება. ერთდროულად ვენები ფართოვდება და ზოგჯერ აღინიშნება დაკლაკვნა ყვითელი ლაქის ირგვლივ. ბადურას ცვლილებებს საფუძვლად უდევს ანგიოსპაზმი.

ჰიპერტონიის დროს ხშირად ადრეულ სტადიაშივე აღინიშნება სხვადასხვა ფუნქციური მოშლილობა ნერვული სისტემის მხრივ: თავის ტკივილი, თავბრუ, ადვილად აგზნებადობა, ლაბილური გუნება-განწყობა, ასთენიური მდგომარეობის სხვადასხვა ნიშანი, პათოლოგიური ინერტულობა, უძილობა და სხვა.

ჰიპერტონიული კრიზის დროს მოსალოდნელია გონების დაკარგვა ჰემიპარეზით, აფაზია (მეტყველების მოშლა), ამნეზია და ცერებრული ჰემოდინამიკის მძიმე მოშლის სხვა ნიშნები.

## როგორ დავწიოთ წნევა – 15 მარტივი საშუალება

1. ზედმეტი წონისგან გათავისუფლდით – ჰიპერტონია ჭარბწონიანი ადამიანების დაავადებაა. ყოველი დაკლებული კილოგრამი წნევას 1 მმ-ით აქვეითებს.

2. სიგარეტის რაოდენობა შეამცირეთ – თამბაქო შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც სისხლძარღვებს ავიწროებს და ნაკლებად ელასტიკურს ხდის. ყოველი ღერი მოწეული სიგარეტის შემდეგ წნევა იმატებს. ეს ეფექტი 2 საათი გრძელდება.

წლებთან ერთად სისხლძარღვები სულ უფრო ნელა უბრუნდება საწყის მდგომარეობას, რაც ჰიპერტონიის განვითარების რისკს ამაღლებს. მოცემულ სიტუაციაში ყველაზე სწორი ნაბიჯი მოწევისთვის თავის დანებებაა. თუ არ გამოგდით, სიგარეტის რაოდენობა შეამცირეთ.

3. მარილის მოხმარება შეზღუდეთ – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, 45 წლის ზევით ყველა ადამიანმა საჭმელში მარილის მოხმარება უნდა შეამციროს, ხოლო რომელთა მშობლები ჰიპერტონიით იტანჯებიან, მარილი უფრო ახალგაზრდა ასაკში უნდა შეზღუდონ. მარილის დღიური დოზა 1 ჩაის კოვზს არ უნდა აჭარბებდეს. ამ რაოდენობაში იგულისხმება ის მარილიც, რომელსაც შეიცავს მზა პროდუქტები – ძეხვი, ნახევარფაბრიკატები, წვნიანის ფხვნილები, კონსერვები.

4. ნაკლებად ცხიმიანი საკვები მიიღეთ – ცხიმიანი საჭმელი წნევას უშუალოდ არ ამაღლებს, მაგრამ ხელს უწყობს ქოლესტერინის ფოლაქების გაჩენას, რომლებიც ჰიპერტონიის დროს სისხლძარღვებზე დატვირთვას კიდევ მეტად ზრდის.

5. ჭამეთ მეტი ხილი და ბოსტნეული – ისინი მდიდარია ანტიმჟანგავებით, ვიტამინებით, უჯრედისით – ნივთიერებებით, რომლებიც სისხლძარღვებს ამაგრებს და ზოგადად ჯანმრთელობას აუმჯობესებს. ვინც ახალგაზრდობასა და მოწიფულობის წლებში ბევრ ბოსტნეულს მიირთმევს, ხანდაზმულობის ასაკში ჰიპერტონიით იშვიათად იტანჯება.

6. გამოიყენეთ ზეითუნის ზეთი – ზეითუნის ზეთი ხელს უწყობს წნევის დაკლებას, სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს, უფრო მტკიცეს ხდის.

7. დალიეთ მწვანე ჩაი – მასში არსებული ფლავონოიდები სისხლძარღვების მდგომარეობას აუმჯობესებენ.

8. მოერიდეთ კოკა-კოლას – გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ კოკა-კოლა წნევას ამაღლებს. ჯერჯერობით დადგენილი არ არის, ამაში რომელი კომპონენტია დამნაშავე – კოფეინი თუ შაქარი, მაგრამ ერთი რამ ცხადია – კოკა-კოლა ჰიპერტონიკებისთვის საუკეთესო სასმელი არ არის.

9. ღვინო ზომიერ დოზებში სასარგებლოა – მცირე ულუფა წითელი ღვინო წნევას დაბლა სწევს, მაგრამ სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებას უკუეფექტი აქვს. მამაკაცებს შეუძლიათ დღეში არაუმეტეს 300 მლ ღვინო დალიონ, ქალებს – 150 მლ-მდე.

10. კალციუმი მიიღეთ – ცნობილია, რომ კალციუმი ძვლებისთვის სასარგებლოა, მაგრამ ცოტამ იცის, რომ წნევის დაწევას ეხმარება, ვინაიდან ორგანიზმიდან ზედმეტი მარილი გამოაქვს. კალციუმის წყაროა: რძის პროდუქტები, სარდინი, ფოთლოვანი ბოსტნეული (სალათა, რეჰანი, ოხრახუში, ქინძი და სხვა მწვანილი), კომბოსტო, ბროკოლი, ჩირი.

11. არ დაივიწყოთ მაგნიუმი – მაგნიუმს უნიკალური თვისება გააჩნია: სისხლძარღვების კედლებს შიგნიდან ამაგრებს. მაგნიუმის ნაკლებობისას ხშირია წნევის ხტუნვა. ამ ნივთიერებით მდიდარია ნიგოზი, მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული, ოსპი, ბურღულეული (მუქი ფერის ბრინჯი, წიწიბურა, ქერის ბურღული), ზღვის პროდუქტები.

12. რაციონში თევზი ჩართეთ – თევზი (ორაგული, თინუსი, პალტუსი) შეიცავს ომეგა 3 ცხიმმჟავას, რომელიც სისხლძარღვებზე სასიკეთოდ მოქმედებს. აღნიშნული სახეობის თევზი გასახდომ დიეტაში ჩართეთ, არამხოლოდ წონას შეამცირებს, ასევე წნევასაც.

13. სპორტით დაკავდით – ფიზკულტურა სისხლის დინებას აუმჯობესებს, სისხლძარღვებს ამაგრებს და წნევის ნორმალიზაციას ეხმარება. საუკეთესოა ყოველდღიურად არანაკლებ 30 წუთისა ივარჯიშოთ (ან კვირაში 3-ჯერ მაინც). წნევის უეცარი ხტუნვა რომ არ მოხდეს, სანამ წვრთნას დაიწყებთ, ექიმთან კონსულტაცია გაიარეთ. ასევე დატვირთვა თანდათან გაზარდეთ.

14. ტონომეტრი შეიძინეთ – ჰიპერტონია ქრონიკული დაავადებაა, ამიტომ საჭიროა წნევის რეგულარულად გაზომვა. ეს მდგომარეობის შეფასებასა და პრობლემის გაკონტროლებაში დაგეხმარებათ.

15. სტრესი შეამცირეთ – მომატებული წნევის ერთ-ერთი მიზეზი სტრესია, რომლის დროსაც სისხლში გადაისროლება ჰორმონი კორტიზოლი (წნევას უმატებს). ადამიანს, რომელიც ხშირად ნერვიულობს, დროთა განმავლობაში ქრონიკული ჰიპერტონია უვითარდება. სტრესს კარგად ხსნის ცურვა, იოგა, ბუნებაში სეირნობა, ზღვის სანაპიროზე დასვენება, მომადუნებელი მასაჟი. სასარგებლოა ჰობი – ცეკვა, ხატვა. ქალებში ნერვულ დაძაბულობას კარგად ხსნის თავის მოვლა – სილამაზის სალონში სიარული. მამაკაცებზე ანალოგიურად მოქმედებს თევზაობა, ჭადრაკის თამაში. როგორიც უნდა იყოს თქვენი არჩევანი, მნიშვნელოვანია, სიამოვნება მოგანიჭოთ.



მკურნალი მცენარე

# ბალის პიტნა



ფოთლის ფირფიტა წაგრძელებულ კვერცხისებრია, ბოლოწვეტიანი, გულისებრი ფუძითა და კიდეებში ხერხისებრი კბილებით, ზემოდან მუქი, ქვემოდან კი უფრო მკრთალ მწვანე ფერის, ფოთლის საშუალო სიგრძე 3-6 (8), ხოლო სიგანე კი 1,5-2 (3) სმ ფარგლებში მერყეობს.

მოწითალო ყვავილები ცრუ რგოლებადაა შეკრებილი კენწეროსა და ტოტების დაბოლოებებზე არსებულ თავთავისებრ ყვავილედებში. თანაყვავილედები ჯაგრისებურია, ყვავის ივნისის ბოლოდან სექტემბრამდე.

საქართველოში ფართოდ კულტივირებული მცენარეა, ზოგან გაველურებულიც გვხვდება.

მთელი მცენარე ეთერზეთებს შეიცავს. ფოთლებში იგი 2,7 პროცენტამდეა, ყვავილედებში კი – 6 პროცენტამდე, ეთერზეთი გამოიყენება კვების მრეწველობის მრავალ დარგში სასმელების, ლიქიორის და საკონდიტრო ნაწარმის არომატიზირებისათვის.

მედიცინაში პიტნისაგან მიღებული მენთოლი ნევრალგიურ ტკივილგამაყუჩებლად გამოიყენება გარეგანი ხმარებით, აგრეთვე შაკიკის, კბილის ტკივილის დროს. ანტისეპტიკურ საშუალებად გამოიყენება სურდოს, ხახის კატარის, ბრონქიტის და ბრონქოექტაზიის დროს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

მენთოლის მიღება რეკომენდებულია სტენოკარდიის, კუჭის ტკივილის დროს, მას ადგილობრივი ტკივილგამაყუჩებელი სპაზმოლიტური და ანტისეპტიკური თვისებები გააჩნია. იწვევს კორონალური ძარღვების რეფლექსურ გაგანიერებას.

პიტნის ფოთლების ნაყენი და მიქსტურა გამოიყენება როგორც გულისრევის და პირღებინების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად.

ხალხი სამკურნალოდ გამოყენებისას პიტნის სახეობების გარჩევას არ აწარმოებს. ბალის პიტნის გარდა სამკურნალოდ ხმარობენ და ზოგჯერ უპირატესობასაც აძლევენ ველურად მოზარდ პიტნის სხვა სახეობებსაც: ტენცო, ტყის პიტნა, ომბალო.

ბალის პიტნა უპირატესად კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის (მწავე გულძმარვისა და ბოყინის) დროს გამოიყენება, იმ შემთხვევაში, თუ მას კუჭის შეკრულობა არ ერთვის თან. ასეთ დროს შემდეგ ნარევს იყენებენ: ბალის პიტნის ფოთოლი 15 გ. წყლის სამყურა 2 გ. ფარსმანდუკის ყვავილები 15 გ. კამის თესლი 15 გ. კრაზანა 30 გ. ამ ნარევის 2 სუფრის კოვზს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარე წყალს და 2 საათის განმავლობაში თბილ ღუმელში დგამენ, ფილტრავენ და ერთი დღის განმავლობაში ყლუპ-ყლუპობით სვამენ. ამავე ნარევს იყენებენ სხვა სახის გასტრიტების დროსაც.

**კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობისას, კუჭშეკრულობის თანდართვით, შემდეგ ნარევს იყენებენ:** ბერულა 15 გრამი; ფასმანდუკის ყვავილები 20 გრ; კრაზანა 30 გრ; ბალის პიტნა 20 გრ; გვირილის ყვავილები 10 გრ; მატიტელა 15 გრ; კამის თესლი 10 გრ; კვლიავის თესლი 10 გრ; სვიის გირჩაკები 5 გრ; ხეჭრელის ქერქი 20 გრ; კატაბალახას ფესვები 10 გრ. ამ ნარევის 4 სუფრის კოვზს (თითოეული კოვზი თავდადგმით სავსე) ასხამენ 1 ლ მდუღარე წყალს და მთელი ღამე თბილ ღუმელში დებენ. დილით უზმოზე სვამენ 1 ჭიქას, დანარჩენს კი 4 ჯერზე მთელი დღის განმავლობაში, ყოველი ჭამიდან თითო საათის გასვლის შემდეგ.

მარტო პიტნას გულისა და ფილტვების დაავადებების, განსაკუთრებით ფილტვებიდან სისხლდენების შემდეგ სამკურნალოდ იყენებენ. პიტნის ფოთოლს უხვსისხლიანი მენსტრუაციისას იყენებენ შემდეგნაირად: 20 გ ფოთოლს 500 გ მდუღარე წყალს ასხამენ, 2 საათს დგამენ და შემდეგ აძლევენ ავადმყოფს დასალევად.

პიტნის წვეთებს აძლევენ კუჭაშლილობის, კუჭნაწლავების სპაზმების, კუჭში ჭრის შეგრძნების და გულისრევის შემთხვევებში.

მენთოლი სისხლძარღვების შევიწროებას ახდენს სურდოს დროს. ამ მიზნით იგი შედის პრეპარატ ბორმენთოლის, პექტუსინის და ინგაკამფის შემადგენლობაში.

პიტნის ზეთს კბილის პასტასა და ფხვნილსაც უმატებენ.

შაქრის ნატეხზე დასხმულ 2-4 წვეთს უნიშნავენ კუჭის არეში ტკივილებისას. ნაყენს შემდეგნაირად ამზადებენ: 2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს 1 ჭიქა მდუღარე წყალს ასხამენ. გაწურულ და დატკბილულ ნაყენს ყლუპ-ყლუპობით სვამენ ერთი დღის განმავლობაში. ფოთოლის ფხვნილს (იმდენს რასაც დანის წვერი აიღებს) 1-2ჯერ იღებენ დღეში.

**წვერსაპარსი PHILIPS**
**70 ლარად 150 ლარის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი, რუსთაველის №158



**30 ლარად 55 ლარის**
**უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...
ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
რეჟიმი: 2
ტემპერატურა: 45-55°; დაცულია გადახურებისგან

# ანჩელოტი: „ეს ბაიერნი ჩემს მილანს ძალიან ჰგავს“



მიუნხენის ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ხორვატიულ ტელევიზიასთან ინტერვიუში საინტერესო განცხადება გააკეთა და პეპ გვარდიოლას სამუშაოც შეაქო.

იტალიელი სპეციალისტი აცხადებს, რომ ეს ბაიერნი ძალიან ჰგავს მის გაწვრთნილ მილანს.

შეგახსენებთ რომ, ანჩელოტიმ „როსონერი“ 2001 წელს ჩაიბარა და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად აქცია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში სამჯერ გავიდა და ორჯერ, 2003 და 2007 წლებში, გამარჯვებაც მოიპოვა. კარლომ „სან სირო“ 2009 წლის ზაფხულში დატოვა.

ამის შემდეგ ბაიერნის გამოცდილმა დამრიგებელმა თავის წინამორბედზეც ისაუბრა.

**კარლო ანჩელოტი:**

– იტალიაში უფრო მეტი ყურადღება ტაქტიკას ექცევა, ხოლო ესპანეთში – ბურთის ფლობას და ჩემი აზრით, რთულია იმის თქმა თუ ვინ თამაშობს უკეთეს ფეხბურთს. გვარდიოლა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტია და ბაიერნი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ზედიზედ სამჯერ გაიყვანა. მან მიუნხენურ კლუბში მართლაც დიდებული სამუშაო შეასრულა.

პეპ გვარდიოლამ „რეკორდმაისტერი“ 2013 წლის ზაფხულში ჩაიბარა და მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მთავარი ტურნირი ვერ მოიგო, გუნდს ბუნდესლიგა ზედიზედ სამჯერ მოაგებინა, ხოლო გერმანიის თასი – ორჯერ.

# ლელომ ქუთაისში წაიფორხილა



დიდი 10-ის სარაგბო ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენების შემდეგ საინტერესოდ წარიმართა მე-5 ტური. რაუნდი მიზეზთა გამო 3 დღედ გაიწელა. გაიცა ცოტა – 6 ყვითელი ბარათი. სამაგიეროდ, ლელო დაიდო ბლომად – ერთბაშად 27, რითაც საშუალო მაჩვენებელმა ტრადიციულად იმატა – 3.92 გახდა.

ბათუმში, სეზონის პირველი ფულჰაუსიც აღინუსხა – ლოკომოტივის კაპიტანმა და შუამარბმა, ბექა წიკლაურმა ბურთი ოთხივე ხერხით (ლელო, გარდასახვა, ჯარიმა, არეკნი) გაიტანა და გუნდის ყველა ქულაც პირადად მოინაგრა.

ბათუმმა შინ მიიღო ლოკომოტივი და 10:22 დამარცხდა. ზღვისპირული გუნდი სატურნირო გრაფაში მე-5 ადგილზეა, მაგრამ გათამაშების ლიდერს სულ რაღაც 5 ქულით ჩამორჩება. თავის მხრივ, ლოკომოტივმა ამ მოგებით მე-2 ადგილზე გადაინაცვლა და ქულით ჩამორჩება სატურნირო ცხრილის ლელოს.

ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში შედგა, სადაც აიამ ლიდერ ლელოს უმასპინძლა, რომელსაც აქამდე 4-ვე მატჩი მოგებული ჰქონდა. ეს სერია ქუთათურებმა შეაფერხეს და ლიდერს ერთი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდნენ. მარცხის მიუხედავად ჩემპიონი ლელო კვლავ ლიდერია, რადგან მარცხამდე ორჯერ მოახერხა პრემიალური ქულის მოპოვება...

აია 22:3 უგებდა ლელოს და თითქოს პრემიალური ქულაც უნდა აეღო, მაგრამ სტუმრებმა ტრადიციული სპურტი წამოიწყეს, თუმცა სეზონში პირველად მაინც დამარცხდნენ – 17:25

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ეროვნული ნაკრების ვეტერანი ფულბექი და მექულე მერაბ კვირიკაშვილი.

გაიმარჯვა ქუთაისის მეორე კლუბმა ბაგრატმა. ბონუს ქულა მასაც ხელიდან გაუსხლტა. ბაგრატმა, რომელიც დიდი 10-ის დებიუტანტია, ყველა მატჩში მოახერხა მინიმუმ ქულის აღება, ხოლო არმიასთან სტუმრად მოგებით გრაფაში მე-2 გამარჯვება ჩაიწერა. ბაგრატი ავჭალაში 22 ქულით უსწრებდა არმიას, როდესაც ლელო დაუდეს – 14:29.

წაგებულთაგან სანუგეშო ქულა ვერავინ აიღო, ორ მოგებულს კი პრემია ერგო მეტოქეზე სამით მეტი ლელოს გატანისთვის: ჯიქმა აჯობა ყოჩებს (38:12), ხოლო აკადემიამ – არმაზს (35:5).

საინტერესო და ენერგიული სტარტის შემდეგ ზედიზედ ორ მატჩში ხელმოცარულ ჯიქს 15 ქულა გაუხდა და მე-4 პოზიციაზე დამკვიდრდა. ყოჩები დარჩნენ გასავარდნ ზონაში, კერძოდ კი – მე-9 პოზიციაზე.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო სარასენსი | 5 | 4 | 0 | 1 | 102:75 | 18 |
| 2.ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 99:58 | 17 |
| 3.აია | 5 | 4 | 0 | 1 | 101:072 | 17 |
| 4.ჯიქი | 5 | 3 | 0 | 2 | 111:65 | 15 |
| 5.ბათუმი | 5 | 3 | 0 | 2 | 79:69 | 13 |
| 6.ბაგრატი | 5 | 2 | 0 | 3 | 105:104 | 11 |
| 7.აკადემია | 5 | 2 | 0 | 3 | 88:86 | 10 |
| 8.არმია | 5 | 2 | 0 | 3 | 73:91 | 9 |
| 9.ყოჩები | 5 | 1 | 0 | 4 | 73:128 | 5 |
| 10.არმაზი | 5 | 0 | 0 | 5 | 54:136 | 1 |

# 19 წლამდელები სერბებთან დამარცხდნენ

**საქართველო-სერბეთი 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**0:1 პეტროვი (53)**

**საქართველო:** გუგეშაშვილი, ლოჩოშვილი, კობოური, ფოჩხუა (სამურკასოვი 64), გოგილაშვილი, არაბიძე (ჩოგაძე 64), ხუბაშვილი, მალი, კვანტალიანი (ჩაკვეტაძე 55), ლაკვეხელიანი (ქოჩორაშვილი 55), საღრიშვილი (ბუღრიძე 64)

**სერბეთი:** სტანკოვიჩი (პოპოვიჩი 69), დუკიჩი (ბლაგოიევიჩი 46), ნიშიჩი (ნიკოლიჩი 69), დინგა, ბოსნიაკი (ილიჩი 46), გოიკოვი, პეტროვიჩი, რაჩიჩი, პეტროვი, აჯიჩი (ზლატანოვიჩი 46), პეიოვიჩი (ბირმანჩევიჩი 69)

საქართველოს 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა სერბ თანატოლებთან მეორე ამხანაგური მატჩი გამართა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე და მინიმალური ანგარიშით, 0:1 დამარცხდა.

უგოლოდ დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ სერბებმა ანგარიში 53-ე წუთზე გახსნეს. მეკარე გუგეშაშვილთან პირისპირ გასულ სავა პეტროვს გოლის გატანა არ გასჭირვებია.

გაშვებული გოლის შემდეგ გიორგი ყიფიანის შეგირდები ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ, დიდი ძალებითაც უტევდნენ, თუმცა რეალური საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა სერბთა კარს ხიფათი ემუქრებოდა, მოწოდების სიმაღლეზე იყო სტუმართა კარის დარაჯი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და სერბეთის 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებების პირველი თბილისური მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

# რეშფორდის მასწავლებელი იბრაჰიმოვიჩია



18 წლის მარკუს რეშფორდის კარიერა დიდი სიჩქარით ვითარდება. ამჟამად მარკუსი იუნაიტედის რიგებში დიდი ტალანტით გამოირჩევა, თუმცა მას კიდევ ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ განვითარდეს.

მარკუსის ძირითადი ამოცანა, სადაც კი მას უთამაშია, იყო ის, რომ გაეტანა და წარმატება მოეტანა გუნდისთვის. მსგავსი ამბიციების მქონე ფეხბურთელს ვინ გაუწევს ზლატან იბრაჰიმოვიჩზე უკეთეს მასწავლებლობას.

**მარკუს რეშფორდი:**

– ზლატანი გასაოცარი ფეხბურთელია, მე და ჩემს ახალგაზრდა თანაგუნდელებს წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება, გამოცდილება მივიღოთ ისეთი ფეხბურთელებისგან, როგორებიც უეინ რუნი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი არიან.

ჩემ მსგავსად, ენტონი მარსიალი და ჯესი ლინგარდი ყოველთვის აკვირდებიან მათ მენტალიტეტს და ცდილობენ, რაღაც ახალი ისწავლონ მათგან. ჩვენი ახალი 35 წლის თანაგუნდელი ძალიან ამბიციურია. ის ყოველთვის გამარჯვებაზე საუბრობს, ნებისმიერ შემთხვევაში ცდილობს, გამარჯვებული გამოვიდეს და სულ წარმატების გზას ეძებს. მისი ეს ხასიათი ძალიან მომხიბვლელია და ძალიან დიდ მაგალითს მაძლევს მისი ამბიციურობა.

## შედეგები

**10 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

ანდორა-შვეიცარია ....................... 1:2
ბელარუსი-ლუქსემბურგი ............. 1:1
ბოსნია-კვიპროსი ......................... 2:0
გიბრალტარი-ბელგია .................... 0:6
ლატვია-უნგრეთი ......................... 0:2
ჰოლანდია-საფრანგეთი ................ 0:1
ფარერები-პორტუგალია ............... 0:6
შვედეთი-ბულგარეთი .................... 3:0
ესტონეთი-საბერძნეთი ................. 0:2

**ამხანაგური მატჩები**

ფილიპინები-ჩრ.კორეა .................. 1:3
მაროკო-იორდანია ........................ 2:1

**ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი (21)**

საბერძნეთი-უნგრეთი .................... 3:1
ისრაელი-ალბანეთი ....................... 4:0
ესპანეთი-ესტონეთი ...................... 5:0
შვედეთი-ხორვატია ....................... 4:2

**ამხანაგური მატჩი (21)**

პოლონეთი-ჩერნოგორია ................ 6:0

# პსჟ ნეიმარში ასტრონომიულ პროექტს ამზადებს



ფეხბურთში ფული ბევრ რამეს რომ წყვეტს, დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ, რასაც ფრანგული პარი სენჟერმენი და მისი პრეზიდენტი ნასერ ალ-ხელაიფი ამზადებს, ყველა ზღვარს სცილდება. ფრანგული კლუბი მზად არის, ნეიმარისთვის ბრძოლას არ შეეშვას. გემახსოვრებათ, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს პსჟ-ს ნეიმარის გადაბირების მცდელობა ჰქონდა, მაგრამ უარი მიიღეს.

ალ-ხელაიფი დანებებას არ აპირებს და მორიგი შეთავაზება ასტრონომიულ თანხას – 222 მილიონ ევროს უტოლდება.

კლუბის პრეზიდენტი ცდილობს, პსჟ ევროპულ გრანდად აქციოს და უმთავრეს მიზნად ჩემპიონთა ლიგის მოგება აქვს გადაქცეული. მათი აზრით, ნეიმარში ჩადებული თანხა სარგებელს მოიტანს.

აპრილში პსჟ-ის ყოფილი მწვრთნელი ლორან ბლანი ამბობდა, რომ მეგავარსკვლავის შეძენა გუნდს დაამსგავსებდა თავკომბალას, საპირისპიროდ იმისა, რასაც თავად ცდილობდა პარკ დე პრენსზე მუშაობის პერიოდში...

კატალონიელებს ნეიმარის გაყიდვა არ სურთ, მაგრამ არის კიდევ ერთი მაცდური დეტალი – დაგეგმილია „კამპ ნოუს“ მოდერნიზება, რასაც 600 მილიონი ევრო დასჭირდება, ხოლო ნეიმარში აღებული თანხა კლუბის სალაროს გარკვეულწილად შეავსებდა. ეს შეიძლება გახდეს კიდეც გადამწყვეტი ფაქტორი ბარსელონას ხელმძღვანელთა ინტერესების განსაზღვრაში.

პსჟ არ არის ერთადერთი კლუბი, რომელსაც ნეიმარის გადაბირება სურს. მანჩესტერ იუნაიტედი და მანჩესტერ სიტი იმ კლუბთა შორის იყვნენ, რომლებიც ზაფხულში ბარსელონიდან ნეიმარის გადაბირებას ცდილობდნენ და არც მათ განელებიათ ინტერესი.

გასულ ზაფხულს 24 წლის ბრაზილიელი სერიოზულად ყოყმანობდა ბარსელონასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებასა და სხვა კლუბში გადასვლას შორის არჩევანის გაკეთებაზე, რაც თავისთავად სარფიანი ნაბიჯი იქნებოდა.

ესპანური გამოცემები ამტკიცებენ, რომ ბარსას ნეიმარის სარფიანად გაყიდვის 4 ვარიანტი ჰქონდა. მაგალითად, ზემოთ ნახსენები პსჟ მზად იყო ნეიმარისთვის ხელფასის სახით კვირაში 700.000 გირვანქა სტერლინგი გადაეხადა.

ნეიმარის შეძენა რეალსაც სურდა, იუნაიტედი კი მზად იყო, ზუსტად ისეთივე შეთავაზება გაეკეთებინა მისთვის, რასაც ბარსა ნებისმიერი სხვა კლუბისგან მიიღებდა. სიტი მხოლოდ თავის ინტერესს გამოხატავდა, მაგრამ კატალონიური კლუბისთვის კონკრეტული პირობები არ წარუდგენია. ნაცვლად ამისა, „ქალაქელები“ მხოლოდ ფეხბურთელის მამასთან გასაუბრებით შემოიფარგლნენ.

საბოლოოდ კი მოხდა ის, რომ ნეიმარმა ბარსელონიდან გადასვლა არ ისურვა და 1 ივლისს ახალ, 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც, კვირაში 260.000 გირვანქას იღებს.

# ძიუდოისტთა ნაკრებს ირაკლი ცირეკიძე უხელმძღვანელებს



როგორც წესი, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ სპორტის ოლიმპიურ სახეობებში ახალი ციკლი იწყება. ძიუდოს ფედერაციაში ჯერ პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა, სადაც მეორე ვადით დავით ქევხიშვილი აირჩიეს, შემდეგ კი ცვლილებები სანაკრებო დონეზე განხორციელდა – ირაკლი უზნაძეს ირაკლი ცირეკიძე შეცვლის და სწორედ ის უხელმძღვანელებს ძიუდოისტთა ნაკრებს.

ცირეკიძე აქამდე ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა. საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში კი ასევე იქნებიან მინდია ბოდაველი, გურამ მოდებაძე, გიორგი გუგავა და გიორგი ბაინდუროვი.

ირაკლი უზნაძემ საქართველოს ეროვნული ნაკრები 2013 წელა ჩაიბარა. გუნდთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა, მათ შორის 2016 წელს, ყაზანში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. ამ პერიოდში იგი ევროპისა და საქართველოს საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს. 2016 წლის რიოს ოლიმპიურ თამაშებზე კი ქართველმა ძიუდოისტებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის განკურნება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# პოლიციამ კარდაშიანის ერთ-ერთ მოპარულ ნივთს მიაგნო



საფრანგეთის პოლიციამ აღმოაჩინა ერთ-ერთი ძვირფასი ნივთი, რომელიც ამერიკელ ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანს გასტაცეს.

აღსანიშნავია, რომ ძვირფასი ქვა იმ სასტუმროს მახლობლად იპოვეს, რომელშიც კარდაშიანი გაძარცვეს.

— ერთ-ერთ ძვირფასეულობას სასტუმროს მახლობლად მივაგენით. სავარაუდოდ, ის მძარცველებს დაუვარდათ. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ბოროტმოქმედებს შესაძლოა შეცდომა დაეშვათ, ვინაიდან ისინი ძალიან ჩქარობდნენ, — ნათქვამია შეტყობინებაში.

პოლიციაში დაამატეს, რომ შესაძლოა ძვირფას ქვაზე მძარცველების დნმ-ის კვალი იყოს დარჩენილი.

# პრინსის მამული დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა



მომღერალ პრინსის ცნობილი მამული, პეისლი-პარკი მინესოტის შტატის ქალაქ შანჰასენში დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა.

პირველი ექსკურსია 6 ოქტომბერს შედგა და შემდგომ დღეებშიც გაგრძელდა.

მომღერლის ფანების თქმით, რომლებმაც უკვე მოინახულეს მამული, მათ დაათვალიერეს პრინსის პირადი ოფისი, სტუდია, ასევე სხვა ოთახები. ექსპონატებს შორისაა მუსიკოსის გამოსახულება, მისი ჯილდოები, მათ შორის „გრემიც“.

მუზეუმის ტერიტორიაზეა კაფეტერია და სუვენირების მაღაზია, რომელშიც იყიდება ხელჩანთები, მაისურები, რომლებსაც სიმღერების ტექსტები ამშვენებს, ასევე სხვადასხვა თემატური პროდუქცია.

თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ საექსკურსიო ტურები ყოველდღიური იქნებოდა, მაგრამ ქალაქის საბჭომ ამ საკითხის განხილვა გადადო და დროებითი ნებართვა გასცა რამდენიმე დღეზე. ბოლო ექსკურსია 14 ოქტომბერს გაიმართება, ხოლო ამ საკითხზე კენჭისყრა ქალაქის საბჭოში 20 დეკემბერს გაიმართება.

# სუპერიახტების დიზაინერებმა კლიენტების ხუშტურები გაამხილეს



სუპერიახტების დიზაინერებმა ისაუბრეს კლიენტებზე და დაადასტურეს, რომ მსოფლიოს ყველაზე შეძლებულ ადამიანებზე მუშაობა იოლი არ არის.

— იახტების დიზაინერების მეგამდიდარ კლიენტურას წარმოადგენენ ოლიგარქები, მილიარდერები და ვარსკვლავების ზედა ეშელონების წარმომადგენლები, — ნათქვამია სტატიაში, რომელიც ამ საკითხს ეძღვნება. თუ კლიენტს სურს ოთახი, სადაც თოვლი მოდის, პატარა წყალქვეშა ნავი, რომელიც იახტას შეესაბამება ან წყალქვეშა ავტოფარეხი ფერარისთვის, ამას ისინი, ასე თუ ისე, იღებენ.

როგორც დიზაინერმა პასკალ რეიმონდმა აღნიშნა, მათ საქმის დაჭერა უწევთ მეტად ჭკვიან ადამიანებთან, რომლებიც უმაღლეს სერვისს არიან შეჩვეული. კიდევ ერთმა დიზაინერმა დიკი ბანენბერგმა განაცხადა, რომ მათ საქმიანობაში აუცილებელია, დიზაინერის გარდა იყო დიპლომატიც, ფსიქოლოგიც, ინსტრუქტორიც. ასევე უნდა გახსოვდეს, რომ იახტა მის მფლობელს ეკუთვნის და არა დიზაინერს.

1960-იან და 70-იან წლებში იახტების შემკვეთებს შორის დომინირებდნენ ბერძენი და ახლო აღმოსავლელი კლიენტები. შემდეგ ამერიკელებისა და აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს წარმომადგენელთა პერიოდი დაიწყო, რის შემდეგაც რუსებისა და უკრაინელების ჯერი დადგა.

რეიმონდის თქმით, ისინი ხშირად ახალგაზრდა, საკმაოდ განათლებული ადამიანები არიან, რომელთაც სექონდ-ჰენდი არ სურთ.

ამჟამად კლიენტებს შორის ახალგაზრდა ამერიკელი მილიარდერების მომრავლება შეინიშნება, რომლებმაც ქონება სილიკონის დაბლობში გამოიმუშავეს. ასევე იზრდება ჩინელებისა და ჰონგკონგელების რაოდენობაც.

# ჩინელებმა ღვინის დეგუსტატორების კონკურსში გაიმარჯვეს



სრულიად მოულოდნელად ჩინელებმა გაიმარჯვეს საფრანგეთში გამართულ ღვინის დეგუსტატორების საერთაშორისო კონკურსში. ორგანიზატორებმა მომხდარს „ღვინის სამყაროში მეხის დაცემა“ უწოდეს.

შეჯიბრებაში 21 გუნდი მონაწილეობდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დეგუსტაცია ბრმად მიმდინარეობდა. დეგუსტატორს უნდა გამოეცნო ღვინის დამამზადებელი ქვეყანა, ყურძნის ჯიში და სხვა მახასიათებლები. აღნიშნული შეჯიბრება მეოთხედ ჩატარდა.

ჩინელებმა აჯობეს ფრანგებსა და ამერიკელებს, რომლებიც, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილზე გავიდნენ. მეოთხე ადგილი ბელგიელებმა დაიკავეს, ხოლო ყოფილი ჩემპიონი ესპანეთი მეათე ადგილზე აღმოჩნდა.

ორგანიზატორების თქმით, გამარჯვებულებმა აღიარეს, რომ „ბრმად“ დეგუსტაციაში წარმატების 50 პროცენტი — ცოდნაზე და მეორე 50 პროცენტი იღბალზე მოდის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

# სანდრო კობახიძე: „ნაკრების თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტს ვიმსახურებდით“




საქართველოს ნაკრებისა და პოლტავის ვორსკლას ნახევარმცველი სანდრო კობახიძე ეროვნულ გუნდთან ერთად ირლანდია-უელსს სტუმრობდა. თავად სანდროს მოედანზე გასვლის შესაძლებლობა მხოლოდ დუბლინური თამაშის მიწურულს, რამდენიმე წუთით მიეცა.

თუმცა კობახიძე ვორსკლაში მაინც კარგი განწყობით ბრუნდება.

***— გეტყობა, რომ კარგ ხასიათზე ხარ.***

— დიახ, გამოიცანით! ეროვნულ გუნდში ყოველი გამოძახება ჩემთვის ნამდვილი ზეიმია. ჩემი აზრით, ორივე მატჩში, ირლანდიასთანაც და უელსთანაც, კარგად ვითამაშეთ და მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ქულა მოვიპოვეთ, თამაშის საერთო სურათსა და ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ინტერნეტფორუმზე ჩვენი გულშემატკივრებისგან დადებითი გამოხმაურება იყო.

უელსი ძალიან მაღალი დონის გუნდია. სამწუხაროდ, უელსთან არ მითამაშია. მინდა, უფრო მეტი სათამაშო დრო მქონდეს ხოლმე, რათა მოედანზე თავი სრულად წარმოვაჩინო, ირლანდიასთან ნათამაშებმა ბოლო 10-მა წუთმაც კი, არ დაგიმალავთ და, ფრთები შემასხა.

***— ყველაფერი ხომ შენს ხელთაა!***

— მართალია, ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. ამჯერად პირადად არ მისაუბრია ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვლადიმირ ვაისთან, ქვეყნის მთავარ გუნდში ჩემს მომავალთან დაკავშირებით. თუმცა ვგრძნობ, რომ კარტბლანში მაქვს და მჭირდება მხოლოდ შრომა და კიდევ ერთხელ შრომა.

***— როგორი ატმოსფეროა ამჟამად საქართველოს ნაკრებში?***

— საქართველოს ნაკრები დღეს კვალიფიციური შემსრულებლებისგან დაკომპლექტებული, საერთო მიზნით გაერთიანებული კოლექტივია.

***— კლუბში, ალბათ, უკვე გელოდებიან. მოგენატრნენ თანაგუნდელები?***

— დიახ, ვორსკლაში ყოველთვის პოზიტივით ვბრუნდები ხოლმე. ამ გუნდში ძირითადის მოთამაშე ვარ, კარგი ურთიერთობა მაქვს როგორც მწვრთნელთან, ისე ფეხბურთელებთან. ზღაპრულია ქალაქი. სამი მარცხის შემდეგ, უახლოეს მატჩში მიზნად მხოლოდ გამარჯვებას ვისახავთ და გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაციისთვის ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ. და თან, განწყობის ამაღლება არც ჩვენ გვაწყენს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი



## 12 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — დღეს საკუთარ ინტელექტუალურ მონაცემებს მაქსიმალურად გამოავლენთ. თქვენი გონებამახვილობითა და მჭევრმეტყველებით გარშემომყოფებს აღაფრთოვანებთ. **კურო** — წარმატებას მიაღწევთ ნებისმიერ შემთხვევაში. ამაში თქვენი ჭკუა და პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. **ტყუპები** — იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ცდუნებას არ აჰყვეთ. **კირჩხიბი** — პლანეტები გმფარველობენ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. **ლომი** — აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კეთილისმყოფელი იქნება. **ქალწული** — საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **სასწორი** — ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. **ღრიანკალი** — საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დღეა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **მშვილდოსანი** — გელით კარიერული წინსვლა. კარგი დღეა ნებისმიერი საქმის დასაწყებად. **თხის რქა** — დღეს ნებისმიერი წამოწყება კრახით დამთავრდება. ფხიზლად იყავით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **მერწყული** — შესაფერისი დღეა ოჯახური დღესასწაულებისათვის, სტუმრების მისაღებად. ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. ენერგია დაზოგეთ. **თევზები** — ერიდეთ კამათს მეგობრებთან. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. წინააღმდეგობრივი, რთული დღეა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. ლეო დელიბის ოპერა; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილი; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 22. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში.

**თარაზულად**: 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. მთიანეთი ევროპაში; 10. კუთხე საქართველოში; 12. ღვინის დანალექი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა ძველად; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 20. იტალიელი კინორეჟისორი; 23. ძველებური მექანიკური მუსიკალური საკრავი; 24. ეგრისის მთავარი; 25. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 26. თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. რაიმეს შესწავლა-გამოკვლევა მისი ნაწილებად დაშლის გზით.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუარესი; 2. მადაფათა; 3. ნობათი; 4. გოგჩა; 5. ნიკოლაძე; 8. კარაკასი; 12. „აუდი“; 13. ტრაქტატი; 14. ინკები; 16. სილეზია; 18. უწერა; 20. დუმა.

**თარაზულად:** 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. „კახასა“; 9. ბედია; 10. პარალიზი; 11. ტალახაძე; 15. „ბრიჯსტოუნი“; 17. „ვინილი“; 19. ბაღდავაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. ქარაგმა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაზაზი; 2. კიურე; 3. ფეიხოა; 4. მაკეტი; 6. სალიამი; 9. ბეილი; 11. შეპარდი; 15. განდაგანა; 16. კეხურა; 17. „მუკუზანი“; 19. აჯამეთი; 21. ბეზმენი; 22. კათოდი;

**თარაზულად:** 5. ლაგოდეხი; 7. აპალაჩი; 8. სკლერა; 10. კელნერი; 12. ტესტი; 13. ომეგა; 14. პილიგრიმი; 18. ლაიკა; 20. სეგუნი; 23. ბაწარა; 24. ზილი; 25. ჩაროზი; 26. დანი; 27. ანანური.

# თბილისში ჰარდ როკ კაფე გაიხსნა

თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ჰარდ როკ კაფე. კაფეს გახსნას ქართული ესტრადის ცნობილი წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ჰარდ როკ კაფეში მივიდნენ სტეფანე მღებრიშვილი, ნინი ბადურაშვილი, თაკო გაჩეჩილაძე, ქრისტინე იმედაძე, ქეთი ორჯონიკიძე, ლადო ბურდული, ბაკურ ბურდული, ლევან მასპინძელაშვილი, ელდრაინი, ნინა სუბლატი, ნინო ქათამაძე, გიგი გეგელაშვილი, მაია დარსმელიძე და წითელ ხალიჩაზე გაიარეს.

წითელი ხალიჩა, ძველი ამერიკული მანქანები, ჰარლი დევიდსონები და ბაიკერების მსვლელობა, ლენტის გაჭრა ჰარდ როკის ტრადიციაში – ელექტროხერხით, ვანილა ცეიგის, უჩა მეტრეველის ბენდის, „ვაკის პარკისა“ და უენერგიულესი კუბელი მომღერლის იანელა ბრუკსის არაჩვეულებრივი კონცერტები, ლეგენდარული მუსიკოსების ორეულები, გიტარების დამტვრევის უჩვეულო ცერემონია, ნეონის გიტარის ანთება მელიქიშვილის გამზირზე და ფეიერვერკები – ასეთი იყო თბილისური ჰარდ როკ კაფეს გახსნა.

კაფეში შეკრებილი აუდიტორიისთვის რამდენიმე საათით „გაცოცხლდნენ“ ფრედი მერკური, ელვის პრესლი, ჯონ ლენონი, მაიკლ ჯექსონი, თბილისს „ესტუმრნენ“ მადონა, ოზი ოსბორნი, ტინა ტერნერი...

გახსნაზე მსოფლიოს ცნობილი ჰიტები შესრულდა, ღონისძიების ბოლოს კი ელექტროგიტარის ფორმის ტორტი დაიჭრა.




# ქეთი ფარესაშვილი ევროპაში თავშესაფარს ითხოვს



მომღერალმა ქეთი ფარესაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა განცხადება, რომ ერთ-ერთ საარჩევნო კონცერტზე მიიწვიეს, კონცერტის გადადების გამო კი ჩარიცხული ჰონორარის უკან დაბრუნება მოსთხოვეს.

მიუხედავად მეგობრების რჩევისა, რომ თანხა მომღერალს უკან არ დაებრუნებინა, ქეთიმ, რა თქმა უნდა, ჰონორარი ორგანიზატორებს უკან გადაურიცხა.

ახლა, როცა არჩევნებმა ჩაიარა, მომღერალმა საჯარო განცხადება გააკეთა და ევროპაში თავშესაფარი მოითხოვა.

**ქეთი ფარესაშვილი:**

– მიუხედავად იმისა, რომ ვინც მინდოდა, იმან გაიმარჯვა, მაინც ვითხოვ ევროპაში თავშესაფარს!

# თემო საჯაია წამყვანი გახდა

ახალგაზრდა მომღერალი თემო საჯაია წამყვანი გახდა. ნებისმიერი ტელევიზიისთვის სასურველი სტუმარი ახლა უკვე თავად მოიწვევს სტუდიაში სტუმრებს და მათთან ერთად ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო თემებზე ისაუბრებს.

**თემო საჯაია:**

– ყოველთვის მაქვს სურვილი, ადამიანებს ჩემი მუსიკით, ჩემი საქმით მივცე იმედი და ვანუგეშო. დღევანდელ ტელესივრცეში ყველაზე მეტად ის არ მომწონს, რომ ლაპარაკობენ იმაზე, რა არ არის მოსაწონი, მაგრამ არავინ ამბობს იმას, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ პრობლემა მოგვარდეს. „იბერიის“ ეთერში თავად ვიწყებ გადაცემაზე მუშაობას და ამ თემას იქ შევეხები. ძალიან რთულ საქმეს შევეჭიდე. როგორ ვიმუშაო კამერასთან, ეს ვიცი, როგორც სტუმარმა, მაგრამ, როგორ ვიმუშაო, როგორც წამყვანმა, ახლა ვისწავლე. ჩემი პარტნიორია ნინო შავგულიძე, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანია.



# ხატია ბუნიათიშვილი ბერლინში დააჯილდოვეს



მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი ბერლინში დააჯილდოვეს. ჯილდო ხატიას ალბომ „კალეიდოსკოპისთვის“ გადაეცა, რომელიც საუკეთესო სოლოჩანაწერად დასახელდა.

გერმანიის დედაქალაქის მთავარი საკონცერტო დარბაზის წინ წითელი ხალიჩა გაიშალა და წლის მთავარი მუსიკალური დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

ექო კლასიკ 2016 – ასე ეწოდება დაჯილდოების ცერემონიალს, რომელზეც მსოფლიოს ვარსკვლავებთან ერთად ხატია ბუნიათიშვილიც მიიწვიეს და მთავარი პრიზი გადასცეს.

პიანისტმა ფოტოგრაფების წინაშე პრიზითაც იპოზიორა და ჟურნალისტებს დასმულ შეკითხვებზეც უპასუხა. დაჯილდოების ცერემონიალი ტელევიზიით გერმანიის ერთ-ერთ ცენტრალურ არხზე გადაიცემოდა. ხატიასთან ინტერვიუ ცნობილმა მევიოლინე დევიდ გარეტმა ჩაწერა, ფართო საზოგადოებას კი ქართველი პიანისტი „ქოლდფლეის“ სოლისტმა კრის მარტინმა წარუდგინა.

# ფიროსმანის ნახატებს რესტავრაცია ჩაუტარდება

ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები აღდგენას საჭიროებს. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, „ფიროსმანის აღდგენის“ მასშტაბური პროექტი იწყება.

პროექტის პირველ ეტაპზე რესტავრაცია ნიკო ფიროსმანის მირზაანის მუზეუმის კოლექციაში დაცულ ორი ნამუშევარს „თამარ მეფესა“ და „შოთა რუსთაველს“ ჩაუტარდება.



სარესტავრაციო პორტრეტების შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი 1948 წლიდან ინახებოდა ფილოლოგ იოსებ მეგრელიძისა და მისი მეუღლის, თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძის კერძო კოლექციაში. 1989 წელს ოჯახმა ეს ნამუშევრები გადასცა „ხალხთა მეგობრობის მუზეუმს“, საიდანაც სურათები ნიკო ფიროსმანის მირზაანის მუზეუმში მოხვდა. ამ დროიდან ნამუშევრები მუზეუმის კოლექციაში ინახება. ნახატების მდგომარეობა შესწავლილია. მზადაა სარესტავრაციო პროექტიც. სპეციალისტების თქმით, მანამდე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების გამო ნახატებს მრავალმხრივი დამუშავება ესაჭიროება.

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის თბილისის მუზეუმში აღნიშნული ნამუშევრები რამდენიმე საათით გამოიფინა, შემოწმდა მათი მდგომარეობა და ეროვნულ მუზეუმში გადაიგზავნა. ღონისძიებას პროექტის ავტორები და სპეციალისტები დაესწრნენ.

ნამუშევრებს რესტავრაციას შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო სახელოსნოს სპეციალისტები ნანა მანაგაძე და ეველინა კარსელი ჩაუტარებენ.

რესტავრაციის პროცესი სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება, რის შემდეგაც რესტავრირებული ორივე ნამუშევარი თიბისი გალერეაში მირზაანის ფონდში დაცულ ნიკო ფიროსმანაშვილის სრულ კოლექციასთან ერთად გამოიფინება, სულ თოთხმეტი ნამუშევარი.

რესტავრაციის პროცესი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში მოქმედი საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ განხორციელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# გია ყანჩელის ნაწარმოები პალერმოს თეატრში აჟღერდება

ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ნაწარმოები „ექსილ“ იტალიაში პალერმოს თეატრში აჟღერდება. კომპოზიტორის ქმნილებას შეკრებილი მსმენელისთვის მასიმოს თეატრის ორკესტრი და სოპრანო ვალენტინა კოლადონატო შეასრულებენ.

ქართული თეატრისა და კინოსთვის შექმნილი არაერთი გენიალური მუსიკის ავტორისადმი მიძღვნილი კონცერტი იტალიაში 14 ოქტომბერს გაიმართება.

პალერმოს ლეგენდარულ თეატრში მაესტრო გია ყანჩელისადმი მიძღვნილი კონცერტის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს საქართველოს საელჩო იტალიაში:

– პალერმოს ლეგენდარულ თეატრში მაესტრო გია ყანჩელისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება. ,,ექსილს“ დამსწრე საზოგადოებას ახალგაზრდა, წარმატებული ქართველი მწერალი რუსკა ჟორჟოლიანი წარუდგენს.



# შიდა ქართლში ე.წ. მარჯანიძის დარბაზი ინგრევა

საქართველოში კიდევ ერთი კულტურის ძეგლი ინგრევა. შიდა ქართლის სოფელ წინარეხში მდებარე ე.წ. მარჯანიძის დარბაზი ერთადერთი შემორჩენილი დარბაზია, რომლის მდგომარეობაც დღითიდღე მძიმდება.

ინფორმაციას კახა ხიმშიაშვილი ავრცელებს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დროული რეაგირებისკენ მოუწოდებს:

– გუშინ ვიყავი სოფელ წინარეხში, სადაც შიდა ქართლში ერთადერთი შემორჩენილი დარბაზია, ე.წ. მარჯანიძის დარბაზი. ეს დარბაზი ვნახე პირველად ექვსიოდე წლის წინ. მას შემდეგ ძალიან, ძალიან დამძიმდა დარბაზის მდგომარეობა, ერდოს გარშემო ბანი ჩამოქცეულია, კოჭებს წყალი უდგება და, შესაბამისად, ლპება.

დარბაზი ისეთ დღეშია, რომ ზამთარს ან გადაიტანს, ან ვერა. დიდი ალბათობით, თუ დიდი თოვლი მოვიდა, დარბაზი ჩაიქცევა. რადგან ეს, როგორც აღვნიშნე, ერთადერთი ნიმუშია შიდა ქართლში შემორჩენილი დარბაზისა, ხომ არ იქნება საშუალება, სასწრაფოდ გაამაგროთ იმდენად მაინც, რომ ზამთარი გადაიტანოს და შემდეგ იზრუნოთ სრულ რეაბილიტაციაზე.



# სამგლოვიარო განცხადებები

ძმა ზაური, რძლები გიული, დავარი, ძმისშვილები მანანა, მარინა, თამუნა, მაია, მამუკა, ილია სიხარულიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე (ირა) ილიას ასული სიხარულიძე**



პანაშვიდი: 13, 14 ოქტომბერს;

დაკრძალვა: 15 ოქტომბერს, 14 საათზე;

მისამართი: თბილისი, ზოვრეთის 33.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 12 ოქტომბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **08.00** ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**დიასახლისი**" **15.00, 03.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**ჰავანა**" **01.30** მხ/ფ "**მორიელთა მეფე**"

**08.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ბიჭი კალიფორნიიდან**" (მ.შინი) **12.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00, 17.00, 19.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" **18.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **3** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**კარგი ექიმი**" **02.45** მხ/ფ "**მოკალი და დამარხე**" **04.15** მხ/ფ "**ჯგუფი 7**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **7** სერ. **23.00** ნანუკას შოუ **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**სიზმრებზე მონადირე**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "სათავეებთან" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია "რამაზ გახოკიძე" **2** ნაწ. **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ბანგაში**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული ხმლები" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "კაცხის სვეტი" **2** ნაწ. **00.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05, 13.00** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35, 2.00** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.334

ევრო — 2.6064

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8965

100 რუსული რუბლი — 3.7375

## ამინდის პროგნოზი 12 ოქტომბრისთვის








## 12 ოქტომბრიდან

# კახეთი

## გზამკვლევი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



## 11 ოქტომბრიდან

# ელისი საოცრებათა ქვეყანაში

## ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით

ინგლისელი მათემატიკოსისა და მწერლის ლუის კეროლის ზღაპარი „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ პირველად 1865 წელს გამოიცა და დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ერიკ კინკეიდის შესანიშნავი ილუსტრაციებით გაფორმებული ეს ზღაპარი დაუვიწყარ მოგზაურობას გპირდებათ საოცრებათა ქვეყანაში.




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



## 18 ოქტომბრიდან

# ოლივერ ტვისტი

## ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით




ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


# იუმორი



შვილი მამას ეკითხება:

– მამა, რა არის უფლებამოსილების გადაბარება?

– დედას ჰკითხე, ის გიპასუხებს.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– ქმარს უკვე გაშორდი?

– ჯერ არა.

– რატომ?

– მან მითხრა, რომ, კანონის მიხედვით, კიდევ ორი კვირა მაქვს ჩემი მოვალეობის შესასრულებლად, სანამ შემცვლელს არ მომიძებნის.

•••

პაპა და ბებია შვილიშვილს პორნოს ყურების დროს დაადგნენ თავზე. მათ უხმოდ უყურეს ბოლომდე ეპიზოდს და შემდეგ პაპამ ბებიას თავში ხელი წამოარტყა.

– რისთვის? – ეკითხება გაოცებული ბებია.

– ხომ გეუბნებოდი, ასეც შეიძლებაო, შენ კი – მოვკვდები, მოვკვდებიო.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ეჰ, რა კარგი იყო ადრე.

– რას გულისხმობ?

– უბრალოდ, აიღებდი გაზეთს და მიდიოდი ტუალეტში... ახლა კი თითქოს ექსპედიციაში მიდიოდე: ნოუთბუკი, აიპადი, მობილური...

•••

ორშაბათი დილა. უფროსი თანამშრომელს ეკითხება:

– თვალები რატომ გაქვს ჩაწითლებული, გუშინ გვიანობამდე სვამდი?

– არა! სამსახური მომენატრა და ვტიროდი!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როგორი საშინელი ამინდია.

– ჰო, საშინელებაა. დილიდან საღამომდე წვიმს, ნისლია, როგორც ლონდონში.

– კიდევ კარგი, მაგით მაინც ვგავართ ლონდონს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, თუ მეტყვი, რამდენი ამომრჩეველია საჭირო ნათურის შესაცვლელად?

– არცერთი.

– რატომ?

– ამომრჩევლები ვერაფერს შეცვლიან. მათზე არაფერია დამოკიდებული.


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 13 ოქტომბრიდან

# ჩემი პირველი სიტყვები ცხოველები

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი





## კრისტიან ბენტეკემ ახალი რეკორდი დაამყარა



ბელგიის ნაკრებისა და კრისტალ პალასის ფორვარდმა კრისტიან ბენტეკემ ახალი რეკორდი დაამყარა. მან გიბრალტარის კარში გოლი შეხვედრის მეშვიდე წამზე გაიტანა, რაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლია.

ბენტეკემ მეტოქის საჯარიმოსთან მიიღო ბურთი, მცველი ადვილად მოატყუა და ძლიერი დარტყმით გიბრალტარის კარის ბადე შეარხია. საბოლოოდ ბელგიამ ის შეხვედრა გამანადგურებელი ანგარიშით 6:0 მოიგო და თავის ჯგუფში ლიდერობა გაიმყარა.

რაც შეეხება ბენტეკეს, მან თქვა, რომ რეკორდის გამო ის გახარებულია, თუმცა მსგავს რამეებს დიდ ყურადღებას არ აქცევს.

## ლივერპულისა და მანჩესტერ იუნაიტედის შეხვედრას მანჩესტერელი მსაჯი იმსაჯებს

17 ოქტომბერს პრემიერ ლიგის მე-8 ტურის შეხვედრაში ლივერპული საკუთარ მოედანზე მანჩესტერ იუნაიტედს მიიღებს.

ამ ორი გუნდის დაპირისპირება ინგლისურ კლასიკად არის აღიარებული და ამჯერადაც ამ შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელის. მატჩი სატურნირო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რადგან ლივერპული მანჩესტერს სამი ქულით უსწრებს.

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა შეხვედრის მთავარ არბიტრ ენტონი ტეილორზე, რომელიც მანჩესტერელია. ტეილორი საკმაოდ მკაცრი მსაჯია და ის ხშირად აჩვენებს ყვითელ ბარათებს. წლევანდელ სეზონში მან 7 შეხვედრა იმსაჯა და 23 ყვითელი ბარათი აჩვენა.

## სერხიო რამოსი ტრავმირებულია

მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა ტრავმა მიიღო. რამოსისთვის ეს სამწუხარო ფაქტი ესპანეთისა და ალბანეთის ნაკრებების დაპირისპირების დროს მოხდა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ როდის შეძლებს სერხიო მოედანზე დაბრუნებას, თუმცა პროგნოზები არცთუ ოპტიმისტურია და, სავარაუდოდ, ის თვეზე მეტს გამოტოვებს.



რეალისთვის ეს დიდი დანაკლისია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამეფო გუნდი ამჟამად არცთუ კარგ ფორმაში იმყოფება.

რეალმა ბოლო 4 შეხვედრა ფრედ ითამაშა, რამაც ჟურნალისტები მათ კრიზისზე აალაპარაკა.

## ნიკა კვეკვესკირმა ტრავმა მოიშუშა

საქართველოს ნაკრებისა და აზერბაიჯანული გაბალას ნახევარმცველმა ნიკა კვეკვესკირმა ტრავმა მოიშუშა და ის მალე დაუბრუნდება მოედანს.

ნიკამ ტრავმა 10 სექტემბერს მიიღო და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. კვეკვესკირს კოჭის ტრავმა აწუხებდა, რასაც ერთთვიანი მკურნალობა დასჭირდა. ამის გამო ნიკამ ნაკრების შეხვედრებიც გამოტოვა უელსთან და ირლანდიასთან.

გაბალა ევროპის ლიგაზე ასპარეზობს და 20 ოქტომბერს საკუთარ მოედანზე ფრანგულ სენტ ეტიენს მიიღებს. კვეკვესკირი, შესაძლოა, ამ შეხვედრაში უკვე ვიხილოთ მოედანზე.

## რაიან გიგზი სუონსი სიტის არ გაწვრთნის

რაიან გიგზი, რომელიც მანჩესტერ იუნაიტედიდან სეზონის დასაწყისში წავიდა, სუონსი სიტის მთავარი მწვრთნელი არ გახდება.

ამაზე თვითონ გიგზმა ისაუბრა და თქვა, რომ მას მართლაც ჰქონდა შემოთავაზება უელსური გუნდისგან, მაგრამ ის კლუბის ხელმძღვანელობასთან ვერ შეთანხმდა, ამიტომ ამ სამუშაოზე უარი თქვა.

სუონსიმ წლევანდელი სეზონი ცუდად დაიწყო, რის გამოც აქტიურად დადის ხმები იმის შესახებ, რომ იტალიელ მთავარ მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის მალე გაათავისუფლებენ დაკავებული თანამდებობიდან.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 2. რაიმეს მწვავე ნაკლებობა; 3. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 4. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 5. ქართველი პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი; 8. პოლონელი კომპოზიტორი, საოპერო სკოლის ფუძემდებელი პოლონეთში; 12. ძვირფასმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 13. ებრაული სამლოცველო; 14. აეროპორტი ვარშავაში; 16. კინოკომედია „ლონდრეს“ რეჟისორი; 18. ესპანური სპორტული გაზეთი; 20. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე.

**თარაზულად**: 6. პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი; 7. ქალაქი მესხეთში; 8. ნახატი ზღვის ხედით; 9. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 10. ავადმყოფობის დადგენა გამოკვლევის შედეგად; 11. ნაყინის ერთ-ერთი სახეობა; 15. ფერწერული ტილოების საცავი მუზეუმში; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. „შუშანიკის წამების“ ავტორი; 22. ძველებური ინდური მაგიდის სათამაშო, ჭადრაკის წინამორბედი; 23. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

